



გაზეთი გაემოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N14 (9230)

20 მაისი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი

სოციალური პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა გარდაუვალი იქნება

2

**ნყარსაკანარიზაკიოო ქსერების
მასშტაბოხი ჰხოუქუი ინყება**

პრემიერმა კვირიკაშვილმაც

რომ მთხოვოს...

2

**მე სკქსრითოვლოოს
ღეჰყოცსცი ვსრ!**

ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

3

ყაღბის ცოცოვს, სხყო ვიყოვსრღეოთ ერითმსნეოთი!

ხულოისყოეოუბა თქვენ ხართ! საკრეოულოს წავრს ეს უნდა აინტოარესობდეს!



**სპიპრდი
მაღლოისთოვის**

4

საკონსტიტუციო განხილვა სამტხედიოში



საკონსტიტუციო ცვლილებების კანონის პროექტის საყოველთაო განხილვა გრძელდება. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა და "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა 19 მაისს შეხვედრა გამართეს სამტრედიოში.

ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრში საჯარო განხილვაში მონაწილეობის მსურველებს დარბაზი ვერ იტევდა. საზოგადოების უმეტესობას "ქართული ოცნების" ხელისუფლების წარმომადგენლები და მხარდამჭერები წარმომადგენდნენ. დარბაზში "სამტრედიის მაცნე" "ევროპული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის ლიდერი აეთანდლე სტურუა და პარტიის წევრები დააფიქსირა. სამხარეო ადმინისტრაციიდან გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძე ესწრებოდა. განხილვაში მონაწილეობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე.

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ შეკრებულ საზოგადოებას ქვეყნის უპირველესი კანონის პროექტის განხილვის პროცესში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის 4 თეიანი მუშაობის შედეგი გააცნო. მან დეტალურად ისაუბრა იმ ფუნდამენტურ ცვლილებებზე, რომელიც კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტში არის წარმოდგენილი.

ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის განცხადებით, კონსტიტუციის თითქმის ყველა მუხლსა და თავში შევიდა შინაარსობრივი, კონცეპტუალური და ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. მამუკა მდინარაძემ ცვლილებების ძირითად არსზე ისაუბრა და კონსტიტუციის თითოეული თავი დეტალურად მიმოიხილა. მისი განცხადებით, კომისიამ პრაქტიკულად კონსტიტუციის ახალი ვერსია შეიმუშავა. პირველ თავზე საუბრისას მან ოთხი ფუნდამენტური პრინციპი გამოჰყო, რომელსაც, მისივე თქმით, კონსტიტუციის ახალი რედაქცია ეფუძნება: დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოს და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებს.

სამტრედიოში კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები: "ქართული ოცნებიდან" გაა ვოლსკი, "ევროპული საქართველოდან" სერგო რატანი, "პატრიოტთა ალიანსიდან" ირმა ინაშვილი, "ნაციონალური მოძრაობიდან" აკაკი ბობოხიძე და იური სტი ანრი ოხანაშვილი.

კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ მათ ცალ-ცალკე წარმომადგინეს თავიანთი ხედვები და შენიშვნები პროექტის მიმართ. დარბაზის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა აკაკი ბობოხიძის გამოსვლას. საზოგადოებამ მას წარსული შეახსენა.

მოგვიანებით მამუკა მდინარაძემ და კომისიის წევრებმა მოსახლეობის შეკითხვებს უპასუხეს და სათანადოდ განიხილეს. გამომსვლელთა უმრავლესობა ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვას აპროტესტებდა.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ სამტრედიოში კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა შეაჯავა.

6060 ნახტავი

7

**პიპა
პიპიპაკაპიპი
უპიპის პიპიპიპია!**



პრემიერმა კვირიკაშვილმა რამ მოხერხდა...

მე საქართველოს დიპლომატი ვარ!

თბილისი

კვლავ "სინოპიდრო" და კვლავ იანეთში, კარიერთან მისასვლელად უნდა დაგეგმილობა პრემიერმა, ისევე ვაცხარებელი მაქვს, თუ ვეცხვარებელი შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში. შემოვლითი გზის მშენებლობა და არსებულის გაფუჭება მაღალი ტვირთამწვობის მანქანებით, ჩინური კომპანიის მხრიდან შეკეთების არაერთი დაპირების მიუხედავად, აქილევსის ქუსლიად კვლავ რჩება.



გზის ამ მონაკვეთს: "ეს ხარჯს დაახლოებით 150 ათასით ზრდის. კვლავ შევკეთებთ არსებულს და იმაზე უკეთესი დარჩება, ვიდრე თავიდან იყო." მისმა ამ განცხადებამ კვლავ გააცხარა ვიამიქელაძე: "ამხელა კომპანიისთვის რა ფულია 150 ათასი, მით უმეტეს, საქმე თქვენ გააფუჭეთ. რომ გვეთხოვა, საჩუქრად უნდა დაგვეოთ ეს გზა, მილიონნახევარზე მეტის ტვირთი გაქვთ გატანული ზემდეტი ტვირთამწვობის წყალობით! მე არა მხოლოდ სამტრედიის, საქართველოს დეპუტატი ვარ, მხარს ვუჭერ ჩემს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას, მაგრამ არა მისი ინტერესების ხარჯზე. პირიქით, ეს უპირველესად საქართველოსთვის უნდა იყოს ხელსაყრელი. პრემიერმა კვირიკაშვილმა რომ მთხოვოს, ამ საქმეს არ შევეშვები!"

მხარეები პრობლემური ტერიტორიის კიდევ ერთხელ სანახავად წავიდნენ, ამჯერად იმერეთის საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბატარა ბაბუნაძისთან ერთად. ჩინურმა კომპანიამ გზის საკვალ ნაწილის შეკეთების პირობა კვლავ დადო.

სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში, ვიამიქელაძემ, პატივისცემა ამ კომპანიის მისამართით საუბრის დაწყებისთანავე დააფიქსირა. ისიც დასძინა, რომ კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მისი შვილის მეგობარია, თუმცა: "პატივს ვცემ მეგობრობას, საკუთარ შვილს, მაგრამ ჩემი ქვეყნის პატივისცემა ყველაფერზე წინ დგას. მე ვიცი თქვენი მუშაობის ხარისხი და შესაძლებლობები და მინახავს ეს ყველაფერი თქვენს მიერ დაგეგმულ რუსთავეს გზაზე. საპარლამენტო კომიტეტში ოპოზიციის ერთმა დეპუტატმა პრემიერმა რამ მოხერხდა...

ეტენზია რომ გამოთქვა ამ კომპანიის მისამართით, თქვენი დამცველი გახლდით ინფრასტრუქტურის მინისტრთან, თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ პასუხს ვითხოვ და ველი თქვენგან, თანაც უკვე მერამდენედ ვსვამ კითხვას ამ კონტრექტში – ასეთი რამ ქართველს რომ გაეკეთებია თქვენს ქვეყანაში, რას უნამდით?!"

როგორც გაირკვა, იანეთი-დიდი ჯიხაშის დამაკავშირებელი გზის ის მონაკვეთი, რომელიც გუბისწყალზე არსებული კარიერიდან დიდი ტვირთამწვობის მანქანების მიერ ღორღის ამოღებისა და

გატანისას დაზიანდა, დაპირებისამებრ შეაკეთა ჩინურმა კომპანიამ, თუმცა, უხარისხოდ. უფრო სწორად, "უხარისხოდ" მსუბუქად ნათქვამია იმ ხარისხზე, იქ რომ ეს სამუშაო შესრულდა.

მოსახლეობა ინფორმირებულია, რომ აღნიშნული კარიერიდან ავტობანის მშენებლობისთვის იღებენ ინტერეს მასალას. მეორე კომპანია, რომელსაც აქედან გააქვს ღორღი, უკრაინული "ალტკომია." იგი გაცილებით კეთილსინდისიერად უდგება საკითხს. შეხვედრას მისი წარმომადგენელი რამინ ვაშაკიძეც ესწრებოდა, რომელსაც სამტრედიის მაჟორიტარმა თავად დაავალა გზის მშენებლობაზე თვალყურის დევნება.

"უპირველესად სამტრედიელი ვარ, გარდა ამისა, ვითავისებ იმ კომპანიის პასუხისმგებლობას, რომელსაც წარმოვადგენ. ამასთანავე, ბატონმა ვიამიქელაძემ დამავალა ხარისხზე დაკვირვება. ვნახოთ, ამჯერად რა შედეგს მივიღებთ." – ამბობს რამინ ვაშაკიძე.

რაც შეეხება უხარისხოდ აღდგენის შემდეგ კვლავ დაზიანებული გზის შეკეთებას, "სინოპიდროს" ფინანსურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ისინი კვლავ თავიდან ბოლომდე ვერ გადააგებენ

სოციალური პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა გარდაუვალი იქნება

თბილისი

მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში და სოციალური დაცვის სამსახურში სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ნაკადი არ წყდება. მოსახლეობა ძირითადად ერთჯერად დახმარებას ითხოვს, ნაწილი – მედიკამენტებზე საგარანტიო წერილებს, ასევე – საგარანტიოებს გამოცვლევებსა და ოპერაციებზე.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის, ლევან ახობაძის ინფორმაციით 17 მაისის მდგომარეობით დახმარება გაწეული აქვს 1725 პირს, სულ დახარჯულია 348 000 ლარი, ბიუჯეტის 49 პროცენტი. "სამტრედიის მაცნეს" მეთხველს შეგახსენებთ, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბიუჯეტი 709 000 ლარია, შარშანდელ დაგეგმილ ბიუჯეტთან შედარებით 9 ათასი ლარით გაზრდილი.

ლევან ახობაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: "პირველი მაისის მონაცემებით გაეცემა მედიკამენტების 335 საგარანტიო წერილი, დაახლოებით 49 000 ლარის ღირებულების. მოგახსენებთ, რომ მედიკამენტებისთვის წლიურ ბიუჯეტში სულ 66 000 ლარია გათვალისწინებული. ჩვენს მიერ გაცემულია სამედიცინო გამოკვლევებისა და ოპერაციებისთვის 394 საგარანტიო წერილი, სულ 111 000 ლარის ღირებულების. ამ კონკრეტული მუხლის გეგმა 150 000 ლარია. ამდენად, ამ მუხლების გათვალისწინებით 2017 წლის ბიუჯეტის ნახევარია თითქმის დახარჯული.

პირველი იანვრიდან დღემდე 2100 განცხადება შემოსული. დაკმაყოფილებული გვეყავს 1800 მოქალაქე. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ასე გაგრძელდა, სოციალური ბიუჯეტის გაზრდა გარდაუვალი იქნება".

პრობლემა არ არის მინობრივი პროგრამების დაფინანსებაში. იანვრიდან დღემდე ლევან ახობაძის სამსახურს გაცემული აქვს დიაღოზის პროგრამებზე 32 600 ლარი, მრავალმხრივი დახმარებები – 33 000 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე – 20 000 ლარი, ახალშობილთა დახმარებები – 11 000 ლარი, ე. წ. ჩერნობილზე – 9 000 ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე – 5500 ლარი, სტუდენტთა დახმარებები – 7500, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთათვის – 3000 ლარი, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება – 4000 ლარი, დედ-მამითობაზე ბავშვთა ფინანსური დახმარება 4100 ლარი, დაუნის, ლეიკემიის, ცერე-

ბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა დახმარება – 14 000 ლარი. ამას დაემატება 2008 წლის ომში დაღუპულთა ოჯახებზე სოციალური დახმარება – 2000 ლარი.

ბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა დახმარება – 14 000 ლარი. ამას დაემატება 2008 წლის ომში დაღუპულთა ოჯახებზე სოციალური დახმარება – 2000 ლარი.



ნაერსაკანარისა ციო ქსერების მასშტაბოზი ჰქოქცი იწყება

თბილისი

11 მაისს მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ადგილობრივ ხელმძღვანელებს და გერმანიის სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლებს შორის. ამ უკანასკნელს წარმოადგენდნენ ბერნდ ჰასელი, ტომას ვოლფი და საქართველოში ბანკის წარმომადგენელი, ლევან ციციშვილი.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტექნიკური აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი, მიხეილ თათარაძე, ადგილობრივი სერვისცენტრის ხელმძღვანელი, თემურ პატარიძე და ტექნიკური ნაწილის უფროსი, პაატა კაშია.

მხარეებმა შეხვედრაზე განიხილეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყლისა და კანალიზაციის ქსელის ირგვლივ არსებული პრობლემები. გერმანული ბანკის წარმომადგენლებმა კონკრეტულ შეკითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებისგან.

შეკითხვების ნაწილი ეხებოდა მითითებული ქსელების ტექნიკურ მდგომარეობას, სასმელი წყლის ხარისხს, მისი შემოწმების, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების წყალმომარაგების კომპანიაში ეკოლოგიურ მდგომარეობას, რეგისტრირებულ აბონენტთა რაოდენობას, წყალ-კანალიზაციის ქსელების მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაფარვის არეალს და ა.შ.

გამგებობაში შეხვედრის შემდეგ, წყალკანალიზაციის ქსელების დათვალიერების მიზნით, სტუმრები და მასპინძლები, პირველ რიგში, გაემუხრნენ ხონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქუტურის ტერიტორიაზე მდებარე სასმელი წყლის სათავე ნაგებობასთან, სადაც უცხოელებმა დეტალურად მოახდინეს ტერიტორიის პირველადი შესწავლა.

სათავე ნაგებობასთან შეხვედრის მონაწილეებმა თაბუკამვილის ქუჩაზე გადინა ცვლეს. წყალმომარაგების კომპანიის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის ქსელების გამანაწილებელ ენოში გერმანელმა სტუმრებმა ობიექტი დაათვალიერეს, თქვეს, რომ აღნიშნული

ინფრასტრუქტურა, სასურველია, რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში რეაბილიტირებული იქნას. ჯგუფმა წერეთლის ქუჩაზე არსებული კანალიზაციის მე-4 სატუმბო სადგურის შენობისკენ გადაინაცვლა. მოძველებული ტექნიკა, ამორტიზებული სადგურის შენობა სტუმრების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

ბოლოს მკვლევარები ამირან ბახტაძის სახელობის ქუჩის ბოლოში არსებულ ყოფილი კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მივიყვანეს. შემორჩენილი ნანგრევების დათვალიერების შემდეგ საფილტრავი აუზები ნახეს, შეაფასეს ნაგებობის ტერიტორიული მდებარეობა. დღის ბოლოს სტუმრებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ სამტრედიის მუნიციპალიტეტის წყალკანალიზაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ. გერმანულმა მხარემ გამოხატა მზაობა, სამტრედიის საკანალიზაციო ქსელის დასაფინანსებლად ძალასა და ღონეს არ დაიშურებენ, მათი

ინფრასტრუქტურა, სასურველია, რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში რეაბილიტირებული იქნას. ჯგუფმა წერეთლის ქუჩაზე არსებული კანალიზაციის მე-4 სატუმბო სადგურის შენობისკენ გადაინაცვლა. მოძველებული ტექნიკა, ამორტიზებული სადგურის შენობა სტუმრების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

ბოლოს მკვლევარები ამირან ბახტაძის სახელობის ქუჩის ბოლოში არსებულ ყოფილი კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მივიყვანეს. შემორჩენილი ნანგრევების დათვალიერების შემდეგ საფილტრავი აუზები ნახეს, შეაფასეს ნაგებობის ტერიტორიული მდებარეობა. დღის ბოლოს სტუმრებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ სამტრედიის მუნიციპალიტეტის წყალკანალიზაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ. გერმანულმა მხარემ გამოხატა მზაობა, სამტრედიის საკანალიზაციო ქსელის დასაფინანსებლად ძალასა და ღონეს არ დაიშურებენ, მათი



ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

6060 ნაბიჯი

მუნიციპალიტეტის მასშტაბით დამთავრდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დამჭერი ხაფანგების განთავსება. სულ 944 ხაფანგი დადგმულია. აქცია სამტრედიის ყველა თემის ყველა სოფელში განხორციელდა. მიმდინარე კვირის ბოლოდან დაიწყო დადგმული ხაფანგების მონიტორინგი, რითაც განისაზღვრება მავნებლის გავრცელების ლოკაცია და ინტენსივობა. მიღებული შედეგების საფუძველზე უბნების შეწამვა მოხდება.



ორშაბათის ტრადიციული თათბირი ამ ინფორმაციით დაიწყო. გამგებლის შეკითხვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, მამუკა კვანტალიანის დასაბუთებული პასუხი მოჰყვა. რეგიონალური განვითარების ფონდ-

ის პროგრამით გამოცხადებულ სამშენებლო ტენდერში, რომელიც ძირითადად გზების, ასფალტბეტონის დაგების სამუშაოებს ითვალისწინებს, გამგებელი კომპანია "არქეოპოლისი" იყო, რომელმაც ფასთა დახუსტების ცხრილი დაგვიანებ-

ომაც მუნიციპალიტეტის გამგებმა მასთან ხელშეკრულებას გააფორმებეს.

რაც შეეხება რეგიონალური განვითარების ფონდით მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვის სამუშაოებს, კონკურსში მონაწილეობას 10 ორგანიზაცია იღებდა. პირველ ადგილზე მოვიდა სამშენებლო კომპანია უახლოეს დღეებში უნდა წარმოადგინოს ფასთა დახუსტების ცხრილი, რომელიც შესწავლილი იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ. ამის შემდეგ საკითხს სატენდერო კომისიამ გაიტანენ და საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღება.

ვალერიანე ფოცხვერია სოფლებში საგანაფხულო სამუშაოების მიმდინარეობითაც დაინტერესდა. გამგებლის წარმომადგენელთა უმრავლესობა საერთო დასვენებას აკეთებს, ვინც წინა წლებში მიწას ამუშავებდა, მან საკუთარი ფართობი წელსაც დახნა და დათესა. ღარიბის თემში საგანაფხულო სამუშაოები თითქმის 80%-ს აქვს შესრულებული.

"თუ ასე გაგრძელდა, გომის გზაზე

ვერც ისინი ივლიან".

– ზაზა ნიკოლეიშვილი ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე კვლავ ალაპარაკდა ინტერული მასალის გადამზიდი მიმეწონიანი თვითმცლელი ტრანსპორტის ინსტენსიური გადაადგილების შედეგად სოფლის დაზიანებულ გზებზე.

გზის პრობლემა აქტუალურია გომის რაიონში და დაბა კულაშში. უცხოობას უწივიან ოფთომიც. წინა დღით მოსულმა დეარცოფმა სერიოზული ზიანი მიაყენა ნიგორზღვას და ტოლებს, არიან დაზარალებული ოჯახები.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე შავლევ თარგამაძემ ოფიციალური სამტრედიის ყურადღება აკტობანის მშენებლობის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე გაამახვილა.

"შედავითიანი ფასები და უკეთესი ხარისხი" – ამ შეთავაზებით უცხოური კომპანია სამტრედიის ხელისუფლებასთან საქმიან შეხვედრას ითხოვს.



ერთი დღე დაეთობა სამტრედიას, ითქვა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე. გორმალის, ეწრის და ნაბაკეის მოსახლეობა, კერძოდ, 45 პიროვნება ონკოლოგიურ ცენტრში უფასო გამოკვლევას ჩაიტარებს. ეს ინფორმაცია გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსმა, ლამაზ მონცაძემ გააკეთა.

"შეჯიბრება გაიმართება საცხენოსნო სპორტში", – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავიშვილმა 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დააანონსა.

ხუთისაყეთობა

თქვენ ხართ!

საკრებულოს წევრს ეს უნდა აინტერესებდეს!

თმა ბაგუშნაშვილი

სამტრედიის კომუნალური გაერთიანებისთვის, თხოვნების ფორმით, სამი თვითმცლელი ნაგავმზიდის უსასყიდლო გადაცემა 15 წლიანი საარგებლოების ვადით, საკრებულოს ბოლო სხდომის ერთ-ერთი საკითხი გახლდათ. ორი მათგანი 7 კუბური მეტრი, ერთი კი 13 კუბური მეტრი მოცულობისაა. მოთხოვნა სანაგვე ურნების დადგმის თაობაზე, არა მხოლოდ ქალაქის, სოფლის მოსახლეობისგანაც ყოველდღიურად მატულობს. ამჯერად ქალაქის ტერიტორიაზე გაზრდილ სამოქმედო არეალზე გაამახვილა ყურადღება კომუნალური გაერთიანების უფროსმა კობა ბიბილეიშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ კულამისა და დიდი ჯიხაიმის ტერიტორია ათვისებული აქვთ. სხვადასხვა თემის დეპუტატებმა პრეტენზიად ქცეული სურვილი სოფლებ-



ში სანაგვე ურნების დადგმის კიდევ ერთხელ წაუყენეს მას. "მთავრობა თქვენ ხართ. თუ შესაბამისი დაფინანსება იქნება, თავადაც იცით, ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს, სათანადოდ მოვემსახურებთ ყველა სოფელს." – უპასუხა მათ კობა ბიბილეიშვილმა.

კითხვები მასთან და არა მხოლოდ მასთან, ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ. თუმცა, კომუნალური გაერთიანების გამართულ მუშაობაზე პოზიცია-ოპოზიცია თანხმდებოდა. ნაციონალ მამუკა ბიბილეიშვილს კვლავ იმ ხელშეკრულების ბედი აწუხებდა, რომელიც, მისი განცხადებით, დღემდე ვერ მივიდა საკრებულოს წევრებამდე და რომელსაც არაერთი სხდომა კაბალურს უწოდებს.

"ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტს გააფორმებინეს ამგვარი ხელშეკრულება. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხით შეაძენინეს ეს მანქანები. აქამდე მუნიციპალური განვითარების ფონდი წლების მანძილზე თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტებთან, 2003 წლამდე თანდაფინანსებით, ხოლო შემდეგ, გრანტებს იძლეოდა. ხელისუფლებამ ჩვენი ყოფნის დროს, ამ ფონდის 100%-იანი დაფინანსებით ბევრი რამ გაკეთდა. ამჯერად ფონდიდან დადებული ხელშეკრულება, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ გვიანავს, მაგრამ როგორც საბანკო გამოთვლებით ჩანს, საკმაოდ მაღალპროცენტულია, დაახლოებით 7-8 %-იანი სესხია. არ არის გამორიცხული, ეს იყოს ევრორიბორი, რაც სესხის განსხვავებული სახეობაა ევროში. სესხს პროცენტის გარდა გარკვეული ხარჯები ეკისრება, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ფულად მარჯვენებს. შეძენის შემდეგ მანქანებს გრანტების შესანარჩუნებლად ძვირი სერვისებიც ემატება და საბოლოო ჯამში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს კოლოსალური თანხის გადახდა უწევს." – აუონერეტებს მამუკა ბიბილეიშვილი

ნაგავმზიდები ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე კომპანიამ ჩამოიყვანა. "მათ საკუთარი სერვისებიც მოჰყვება, რისი დარღვევაც ჩამოიყვანა კომპანიის მხრიდან გრანტებზე უარის თქმას ნიშნავს. ეს მომსახურება კი საკმაოდ ძვირი ჯდება." – აღნიშნა კობა ბიბილეიშვილმა. სწორედ ამგვარი მიზეზების გამოა, რომ არცთუ ცოტა თანხა საჭირო კომუნალური გაერთიანების მომსახურებამ მთელი მუნიციპალიტეტი მოიცავს.

"საკრებულოს წევრს ეს უნდა აინტერესებდეს!" – ამ განცხადებით სასესიო ხელშეკრულების გაცნობის წინადადება კიდევ ერთხელ დააყენა ოპოზიციამ, თუმცა, უმრავლესობასთან ერთად იმასაც დაეთანხმა, სამი თვითმცლელი ნაგავმზიდი კომუნალური გაერთიანებას 15 წლით გადაეცემოდა.

ქეციო საკრებულოს სხდომას

თმა ბაგუშნაშვილი

საკრებულოს ბოლო სხდომაზე ბოლო საკითხი მოსაწონებლად გახლდათ გამოტანილი. ნაბაკეის თემს ეხებოდა და იმ სასოფლო კრებიდან მომდინარეობდა, ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარებულ კვლევას რომ იხილავდა.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქისა" და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და დაფინანსებით პროექტი განხორციელდა, თვითმმართველობებში სტუდენტების ჩართვას რომ გულისხმობს. დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა ნაბაკეის თემის მიმდებარე ტერიტორიასა და მის საზღვრებში მყოფ სოფელ ჩხენიშში ინფრასტრუქტურული საჭიროების პრობლემები მოიძიეს. აღმოჩნდა, რომ სარწყავ-სანიღვრე არხების მოწესრიგება, სხვა რამდენიმესთან ერთად, სოფლისთვის სასიცოცხლოდ საჭიროა. ამჯერად აქცენტი ამ უკანასკნელზე გაკეთდა და პეტციის სახით ადგილობრივ საკრებულოს წარედგინა. იგი სხდომაზე ახალგაზრდების მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა წარმოადგინა.

სოფლის იმ კრებას, ჩხენიშში რომ გაიმართა, ადგილობრივი ხელმძღვანელობაც ესწრებოდა. პრობლემის აქტუალობაში მათ დასარწმუნებლად თემში გამგებლის წარმომადგენელი თორა წულეისკირი თანასოფლელებს მხარს უბამდა.

ახალგაზრდულმა ჯგუფმა დანაბრები შეასრულა და პეტციის სახით ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. საკრებულოს სხდომაზე წინადადება მოიწონეს. ეს ნიშნავს იმას, რომ როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიაძემ აღნიშნა: "სარწყავ-სანიღვრე სისტემა ნაბაკეის თემში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოწესრიგდება და ამისთვის 16 ათასი ლარი დაინარჯება." საკითხის მოგვარებას დასთანხმდა, მაგრამ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა მამუკა ბიბილეიშვილმა ოპოზიციონერისთვის დამახასიათებელი პათოსით მაინც ხაზი გაუსვა, რომ: "სოფლის პროგრამა, ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს აპრობირებული მექანიზმი რომ გახლდათ, ის საშუალება იყო, მსგავსი საკითხების გადაჭრაში რომ ეხმარებოდა სოფლებს. ამჯერად მისი დაფინანსება შეწყვეტილია."

ახალგაზრდული პეტცია მოიწონა საკრებულომ, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ინიციატივი ახალგაზრდები გარკვეული პერიოდი გერმანიაში შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. ამ საკითხთან დაკავშირებით თანხმობაზე ერთობლივად ხელის აწევით საკრებულოს სხდომამ ნაბაკეის თემის პრობლემის მოგვარებას და ახალგაზრდების წარმატებას ერთდროულად მისცა ხმა.

თანამშრომლობა "ქეხთან" ეხიი წეხილის საფუძველზე

თმა ბაგუშნაშვილი

სიღარიბესთან ბრძოლა ღირსების დასაცავად ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "care" ღვეზად გაიხდა. არა მხოლოდ საქართველოში, მთელს ამიერკავკასიაში ამ მისიით არაერთი პროექტი განახორციელა.

არც სამტრედიისთვისაა ეს ორგანიზაცია და მათი პროგრამები უცხო. ჯერ კიდევ გასულ წელს, მისი ეგიდით სამტრედაში შშმ პირი ქალბატონებისთვის სამკერვალო ფაბრიკა დაფინანსდა. იგი "კვირილას" სახელწოდებით წარმატებით ფუნქციონირებს ყოფილი ბაბის სართავი ფაბრიკის საერთო საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში აქცენტი მხოლოდ ქალბატონებზე იყო აღებული. დასაფინანსებელი ბიზნესპროექტი 10 ათას ლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მასში სამტრედიის წილობრივი მონაწილეობა 2 ათას ლარს არ აღემატებოდა.

თუ თავდაპირველად შემოთავაზება "care"-სგან მოდიოდა, ამჯერად გამგებლის მოადგილე ლიზა კრავიშვილი თავად შეეხმანა მათ და შემოსული რამდენიმე ბიზნეს-პროექტის დაფინანსებაში დახმარება სთხოვა. შემოსულთაგან ერთი საოჯახო სასტუმროს, მეორე საბანკო დარბაზის, აგრეთვე, მარწყვისა და სოფის მოყვანის პროექტებია. ლიზა კრავიშვილი ყველა მათგანს გააცნობს ორგანიზაციას. დასაფინანსებლად ერთს ან რამდენიმეს ისინი თავად შეარჩევენ.

"უპირველესად დიდი მადლობა ქალბატონ ლიზას, მისმა ამ წერილმა განაპირობა სამტრედაში "care"-ს კვლავ სტუმრობა საქმიანი წინადადებით. მადლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რადგან ისინი აქტიურობენ ჩვენთან პარტნიორობის კუთხით. თქვენი ჩართულობის გარეშე ვერაფერი გამოვა. თქვენგან მოდის აქტიურობის მუხტი და ეს შემდგომი წარმატებული პარტნიორობის გარანტიაა." – აღნიშნა პროექტის კოორდინატორმა თონა მაქაცარიამ.

"care – ჩეხეთის" დირექტორმა იანი კობეკ ქეხლარიმ ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა იმ ფაქტს, რომ: "ჩეხური მხარე უნდა დაეარწმუნოთ ქართული მხარის აქტიურობაში, უნდა შეეფარებოდნენ მეტი წინადადება და ბიზნეს-პროექტი. ამასთანავე, მეტად ემეგობროთ მის საეკონომიკურ წარმატებაში და დაუანახოთ წარმატებით შესრულებული არსებული ვალდებულებები. სამტრედას წლიურ ამგარიშშიც შეეიტანეთ, რადგან მის ხელმძღვანელობასთან მუშაობა გვაძლევს საშუალებას ეს მუნიციპალიტეტი საიმედო პარტნიორად მივიჩნიოთ."

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ თანამშრომლობა და იმ პასუხისმგებლობების პირნათლად შესრულება აღუთქვა მათ, რის ვალდებულებასაც იტვირთავს მუნიციპალიტეტი. მეტიც, როგორც მან განაცხადა, არ არის გამორიცხული სამხარეო გუბერნიის დახმარებით სამტრედა რომელიმე ჩეხურ ქალაქს დაუმეგობრდეს.



სპიპრი მაღლისთვის

თბა ბაზნაშვილი

მომავლის პარკთან მონადირე სკივრი დადგეს. ბევრს დადგმის მიზეზი აინტერესებდა, კიდევ უფრო მეტს ის, თუ რა იდო შიგ. ამჯერად სკივრს თავი აეხადა და... იგი გაივსო!

ობაძის იდეას მხარი რომ დაუჭირეს. ზურაბ ახობაძე სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ ინიცირებული პროექტის "საქართველოს მოხალისე" წარმომადგენელი გახლდათ სამტრედიისში. სოციალურად დაუცველთათვის დახმარების გაწევის იდეა ამგ-

მხარი. "ჩამოყალიბებთ მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც, იმედია, დღითიდღე გაიზარდება, მსურველები ბლომად გამოიწინდება იდეას, ყველამ მისი წვლილი შეიტანოს მათ დასახმარებლად, ვინც ამას საჭიროებს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ამ ჯგუფის წევრი გახდეს. ეს იმას



ტექნიკის შესაძენად გამოიყენეს და ავსებულ ზანდუკს შენაძენი ბოლო აკორდ-ად შეჰმატეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალ-

ვით, ვინც ამ სკივრის ავსებაში მონაწილეობას მიიღებდა. საზოგადოებას მოეწოდებ, მოგვბადონ!" - ბრძანა მან.

ინტერესი დაკმაყოფილებულია, რა დღეს სკივრში და არაფერი, თუ არაფერს ჩავდებთ, ყველაფერი, რასაც კეთილ გულს გავატანთ. აუცილებელიცაა ის აივსოს, რადგან მათთვისაა, ვისაც დახმარება სჭირდება. ეს ვალდებულებაა, ადამიანად რომ აქცევს ადამიანს. სიმძლელების პარალელურად სკივრის კეთების სურვილი არც იდეაში და არც მისი განხორციელებისთვის, საბედნიეროდ, დღემდე არ დაუკარგავს ქართველს. ასე რომ, სკივრი სკივრით ასავს-



ცარიელი ზანდუკი, როგორც საქართველოში სკივრის სინონიმს ჰქვია, არცთუ სახარბიელო სანახაია. ავსებული კი, იცოცხლე, თვალსაც უხარია და გულსაც, მით უმეტეს, თუ იგი ქვაზე მადლის დასადებად ივსება. ამიერიდან ეს სკივრიც მომავლის პარკთან მათი მომავლის შედარებით უზრუნველსაყოფად აივსება, ვინც ამას საჭიროებს. სოციალურად დაუცველი ბევრია ქვეყანაში. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც სამტრედიისა. ადგილობრივი გამგებობის, ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები პირველები იყვნენ, მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელების, ზურაბ ახ-

არი სახით გაუჩნდა მას და პროექტსაც "სოციალური სკივრი" დაარქვა, საგრანტო კონკურსზე წარადგინა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებობას აქედან გაუჩნდა მისი დადგმის სურვილი. "ალბათ ყველა ადამიანისთვის ძალიან სასიამოვნოა საკუთარი წვლილი რომ შეაქვს მათ დასახმარებლად, ვისაც ცხოვრება ეწელება. ამ სკივრის ავსებულს რომ ვხედავ, მე კმაყოფილი ვარ!" - ამბობს ზურა ახობაძე.

კულტურის სამსახურის წარმომადგენელი ლაშა ლორია ის ადამიანია, ჯერ ისევე მეთორმეტეკლასელების იდეის განხორციელებას პირველმა რომ დაუჭირა

ნიშნავს, რომ დაგეგმვარონ ამ სკივრის ავსებაში, რომელიც იმ სინთით დაიცვება, როგორც აივსება. ყველაფერი, რაც შიგ აღმოჩნდება, დახარისხდება და სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცემათ." - აცხადებს იგი.

მუნიციპალიტეტის გამგებობის საფეხბურთო გუნდმა, რომელმაც ირავლი ქუთათელაძის სახელობის ტურნირზე მეორე ადგილი დაიმსახურა, პრიზად 200 ლარი მიიღო. ეს თანხა



ერი ფოცხვერია პირველი გახლდათ თავხადილ სკივრში ამანათი რომ ჩაღო. "გამგებობის თანამშრომლებმა ჩავთვალეთ, რომ პირველები უნდა ვყოფილიყ-

ებია! ერთიც, რაც მთავარია მასში მისი ავსების სურვილი არ უნდა "დაზანდუკდეს."

ხე ვაგზაძე და ნახნეხა ევახცხეძე

ხე ზღვაში, ხე გზაში და საერთოდ ხე და ხეები, ჯიშაინები, ასწლოვანები, 21-ე საუკუნის საქართველოში ყველა პრობლემის გადამფარველი თუ არა, მნიშვნელოვანის დაძმრდილეული კი გახდა. მავანთა ჩაგდებული მარცვალი იყო, თუ "უჩვეულო ახირების" კიდევ ერთი ახირების სამტრედიული მოლოდინი, საზოგადოება ერთხმად ალაპარაკდა ვაგზის წინ სამტრედიის ისტორიის თითქმის თანატოლი ჭაობის კვიპაროსის ერთი ადგილიდან ამოღების ჯერ ისევე მშენებარე დენდროლოგიურ პარკში გადატანის შესაძლებლობაზე. პარკი ვისია, სადაა და ა. შ. საყოველთაოდ ცნობილია და კიდევ ერთხელ ადარ დაგაკონკრეტებთ. ქალაქის მუნიციპალიტეტში გამგებობის წარმომადგენელი თენგიზ ცაგურია რამდენიმე დღის წინ უკვე იყო ერთ-ერთი სატელევიზიო არხის რესპონდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით. ამჯერად "სამტრედიის მაგნიტისთან" აუთენტს კომენტარს და აღნიშნავს, რომ: "ინტერესი ბუნებრივია ამ საკითხის მიმართ. ეს კიდევ ერთი უარყოფითი მარცვალია მავანის და მავანის მიერ ჩაგდებული საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მტკნარი სიცრუეა, რომ ვაგზის ხელმძღვანელობამ წერილით მიმართა ვინმეს საუკუნოვანი კვიპაროსის გადატანის მოთხოვნით. მტკნარი სიცრუეა, რომ საერთოდ აზრად მოუვიდა თავში ვინმეს მისი სადმე გადატანა. კიდევ უფრო მტკნარი სიცრუეა, რომ ამ საქმეში კახი კალაძე იყო გარეული. ამ კითხვებზე პასუხი მე უკვე გავეცე "რუსთავე 2-თან" საუბარში. ეს ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია! ჯერ ერთი, ტექნიკურად შეუძლებელია ამ ხის სადმე, მით უმეტეს შორ მანძილზე გადატანა და მეორეც, ეს დღის წესრიგში არასდროს დამდგარა!" რადგან საუბარი ქალაქის ისტორიულ ფასეულობას შეეხო, თენგიზ ცაგურია ქალაქის ცენტრში მდგარი იუსტიხე ვანელიძის ძეგლზეც აუთენტს აქცენტს, რომლის მოუწესრიგებელი მიმდებარე ტერიტორია და თავად ძეგლი არაერთხელ გამხდარა საუბრის თემა. იგი მადლობას უხდის შპს სამედიცინო ცენტრ "რეინიგზა 1872-ის" დირექტორ თამაზ ჭორდანიას: "ბატონმა თამაზმა, კარგმა სამტრედიელმა, საკუთარი სახსრებით გააღამაზა ძეგლის კვარცხლბეკი და ლეგენდრული ქორეგის სახელი და გვარი მაიამგრა. მოსახლეობას ეთხოვთ, ამიერიდან მაინც ნუ მიყარავენ მასზე განცხადებებს." სამტრედიის საეზიზიტო ბარათად ქცეული საუკუნოვანი ხე ვაგზის ტერიტორიაზე სამტრედიის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც ირვევა, მას 21-ე საუკუნის ქართული "საფრთხე" არ ეშუქება!

თბა ბაზნაშვილი



მელოპური პირველი თემია

6067 6160ტაშვილი



სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებობის მორიგი ინიციატივა განხორციელდა მელოპურის თემში. ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯის" წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს. სოფიო კვაჩიანიშვილი, მელოპურის თემში გამგებობის წარმომადგენელი: "ვიცილი ჩემი სოფლის მოსახლეობის განწყობა. ბევრი მათგანი უჩიოდა მხედველობის პრობლემას, უმეტესობას დრო და საშუალება არ ჰქონდა, ექიმისთვის მიემართა. ამდენად, გადავწყვიტე, დაეკავშირებოდი ქუთაისში კლინიკა "ოფთალმიჯის" მენეჯერს, ქალბატონ ხათუნა ხუციშვილს, რომელმაც მიიღო სამტრედიის ადგილობრივი თვითმმართველობის შეთავაზება. შევთანხმდით დროზე. აქცია შაბათს, 13 მაისს შედგა. მენეჯერთან ერთად მედიკოსები ჩამოვიდნენ მელოპურის თემში, ჩვენ ხალხი წინასწარ გვყავდა გაფრთხილებული. პირველ ეტაპზე "ოფთალმიჯის" ჰქონდა საშუალება, 60 პირივნება გამოეკვლია. მოსახლეობა კმაყოფილია მსგავსი აქციით, ისინი მადლიერებას გამოხატავენ. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, თვალზე რა სახის დაავადების მატარებელი იყო. იმ დღესვე ჩაინიშნა 10 ოპერაცია, რომელიც ქალაქ ქუთაისში "ოფთალმიჯის" კლინიკაში სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსებით ჩაუტარდება. მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებებს, ვალერიანე ფოცხვერიას, რადგან სწორედ მისი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით გაეთქვა ასეთი მადლიანი საქმე. მისარია ის, რომ მელოპური პირველი თემია, სადაც პირველად განხორციელდა "ოფთალმიჯის" უფასო სამედიცინო გამოკვლევები". ნინო ჭანტურია 37 წლისაა, პროფესიით პედაგოგია, როცა შეიტყო, მელოპურში თვალის უფასო გამოკვლევა ტარდებოდა, სიამონებით მივიდა სოფლის ამბულატორიაში და საიში ჩაეწერა. ნინო ჭანტურია: "ამ ბოლო დროს დისკომფორტი მქონდა. მეგონა, თვალზე სერიოზული პრობლემები გამაჩნდა. მოვედი, გამოკვლევა ჩავიტარე და აღმოჩნდა თვალის სიმშრალე. მიუხედავად ამისა, ძალიან კმაყოფილი ვარ ექიმების ყურადღებით, დამინიშნეს ორთვიანი მკურნალობა. ამის შემდეგ ხელახლა მივმართე კლინიკას. მადლობა, მინდა გადავუხადო სოფიო კვაჩიანიშვილს, რომელმაც შემატყობინა აქციის შესახებ და მისი წყალობით ჩავიტარე უფასო გამოკვლევა". აქციის მსვლელობას იმ დღეს მელოპურში თვალს ადევნებდა გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია. მან სოფიო კვაჩიანიშვილს თავის მხრივ მადლობა გადაუხადა აქტიურობისთვის, თემის ინტერესების დაცვისთვის და აქციის ორგანიზებისთვის.

ყაზნის ცოცხალი, ახალი გოგონარით ერთმანეთი!

ლიპინა გაბრიელა

ბიბლიური თქმულების მიხედვით კაენი ადამისა და ევას უფროსი ვაჟი იყო. კაენმა თავისი ძმა აბელი მოკლა, ეს იყო პირველი მკვლელობა დედამიწაზე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, შემოქმედნი ათწლეულები, საუკუნეები, ათასწლეულები.

კაცობრიობა დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე არაერთხელ გამხდარა სამხინელი მკვლელობის ამხარზენი ფაქტების მხილველი, გამგონი, მომსწრენი.

ეს ისე შესავლისათვის, ისე კი ნამდვილად შემოფოთებული ვართ ქვეყანაში ბოლო დროს განხორციელებული სამართალდარღვევებით: დაჭრა, სხეულის დაზიანება, მკვლელობები...

არანაირი პარტიული (პოლიტიკური) სპეკულირება, არანაირი დანდობა მათ, ვინც ადამიანზე აღმართავს ხელს.

არც პირველი ვარ და არც ბოლო ვიქნები, ვინც აღნიშნავს, რომ ქართველები საოცრად მაქსიმალისტები ვართ.

მეტისმეტად ხომ არ გავდემოკრატდით?

ამას წინათ ერთ-ერთ გადაცემაში მეტად პატივსაცემი და პატივცემული პროფესორი ხუმრობდა – მეონი, თანამედროვე ციხეებში უფრო კარგი ვითარებაა, ვიდრე გარეთო...

შორს ვართ და სიღრმისეულად ვგმობთ ადამიანთა (პატიმართა) წამება-დამცირების ნებისმიერ ფაქტს (სამწუხაროდ, არცთუ შორეულ წარსულში იყო ქვეყანაში ამისი პრეცედენტი). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავებისაგან მეტი სიფრთხილე, საზოგადოებისაგან მეტი აქტიურობაა საჭირო საიმისოდ, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მკვლელობის ამხარზენი ფაქტები ჩვენს ქვეყანაში.

დამოუკიდებელი ქართული

უარი აგრესორს, სწორება ამერიკაზე. ამერიკა საქართველოს, საქართველო ამერიკის სანდო პარტნიორია.

ეჭვი არავის ეპარება უკვე ამ სიტყვებში. თავად ის ფაქტი, რომ ამერიკაში, დემოკრატიის ფლაგმან სახელმწიფოში (და არა მარტო ამერიკაში) პრეზიდენტის ერთი არჩევნების ვადა 4 წლითაა განსაზღვრული, ბევრის მთქმელია. ადამიანს, რომელიც ათეული წლების მანძილზე იმყოფება პრესტიჟულ სახელმწიფო პოსტზე, გინდა არ გინდა, მასში მინი იმპერატორის თვისებები იჩვენება, იზრდება და...

საინტერესოა, საქართველოში რატომ ადმინისტრაციის მსჯელობა იმის თაობაზე მოსამართლეები მუდმივად ავირჩიოთ თუ გარკვეული ვადით.

არცთუ შორეულ წარსულში საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრად და საკავშირო პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა არვიდ პელშე (1899-1983 წ.წ.). იყო ასეთი ხუმრობა გასული საუკუნის 80-იან წლებში, დიდი ხნის გარდაცვლილი იყო სტალინი: პელშე სამსახურში რომ მიდის კითხულობს, სტალინს ხომ არ ვუკითხივარო?!

არა, არც არავის უნახავს იყო თუ არა ყოველდღი მართალი, მაგრამ ამას მხოლოდ იმპტომ ამბობდნენ და ათას სხვა მითებს იმპტომ თხზავდნენ, რომ მამინ მალაქ ეშელონებში არავინ მიდიოდა პენსიაზე, ვიდრე ნოვოდევიჩის სა-

საფლაო არ დაუღებდა ავად პირს. მამინ იყო არა დემოკრატიული წყობა? იყო. ახლა, ამჟამად ამ გაგანია დემოკრატიის ზეიმისას რატომ ვმსჯელობთ – მუდმივად ავირჩიოთ მოსამართლეები თუ გარკვეული ვადით?

ერთიც, თუ მუდმივად იქნა მოსამართლეთა არჩევნები დაკანონებული, მაშინ რა პუნან ახალგაზრდა იურისტებმა, გინდა არ გინდა, ამ მოსამართლეების... უნდა ელოდნენ?

კიდევ ერთიც, არის მსჯელობა იმის შესახებაც რომ მავანი მოსამართლე, (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) არაა მოსამართლეობის ღირსი.

ჩემი ღრმა რწმენით, როცა მოსამართლეზე, მოსამართლის ღირსების მიმართ გაჩნდება კითხვები, შემდგომშიც და თავად მოსამართლეობის კანდიდატმა უარი უნდა თქვან ვბადალებული კანდიდატის დამტკიცებაზე სხვათა ბედის განმსაზღვრელ პოსტზე.

ვერც ერთ შემთხვევაში ვერაფერ დათვლის, რამდენია კანდიდატის მხარეზე.

სა. სამტრედიის მაგალითზე გეტყვით. ქალბატონმა ვერა მიქაქიძემ, ბატონებმა სერგო რურუამ, ბეგლარ კონხეიძემ, მისმა სტურუამ (მხოლოდ გარდაცვლილებზე ვამბობ) ღირსეულად მოიპოვეს ღირსეული სახელი რაიონში. სად იყო მამინ საუბარი იმაზე, რომ, გინდა თუ არა, მოსამართლეების შეურაცხყოფა უნდა იყოს აკრძალული.

არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც აკრძალვებს ყოველ ჩვენგანს პატივი ვცეთ ყველა ადამიანს, მათ (და არა მამინცდამამინც მოსამართლეთა) ღირსეულებს, ამ ყველა ადამიანში კი მოსამართლეც შედის, ბანანის გამ-

აში ფანჯარიდან გადახტა ვინმე, ჩვენც აუცილებლად უნდა დავენარცხოთ ასეთ ალტს შუბლით?

ვალდართ, კადრების სიმცირეა სამშენებლო ორგანიზაციებში, კვალიფიციური კადრების სიმცირე.

თუ გვინდა ავამშენოთ დემოკრატიული საზოგადოება, აუცილებელია ქვეყანაში არა ქალაქებზე, არამედ რეალურად არსებობდეს მომხმარებელთა, დასაქმებულთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები.

სხვათა შორის, საკითხავია, რატომ ვუთხარით უარი პროფკავშირებს? პროფკავშირული მოძრაობა ხომ არც კომუნისტურია, არც ნაციონალური, არც მონარქისტული და ა.შ.

სადავლი

როდემდე უნდა ვატაროთ ექსპერიმენტები ცოცხალ არსებებზე, მოსწავლეებზე?

იდეელიც და ამ წერილის ავტორიც, ასე რომ... თიბილოვი, ჩიბილოვი, დებილოვი აი, ასეთი მინაწერი აქვს ერთ-ერთ განხეთქი ფოტოს ქვეყნის პრეზიდენტი რომაა ზედ გამოსახული(!)?

აი, ჩვენებური, ქართული დემოკრატიის "უთვალსაჩინოესი ნიმუში".

პოლიტიკური სამართალი და პარტიული გამარჯვება

ყურმოყრული ამბავი ჭორადაც შეიძლება მონათლოს და ხალხურ სიბრძნედაც.

მქობელმა მწიბოელი ქორწილში არ დაპატოვა პარტიულობის გამო.

დიდი ხნის მეგობრებმა სალაში გაუქვირეს ერთმანეთს.

იმის დაკრძალვამ ის როგორ მივიღოდა, ის იმ პარტიის წევრია, ეს კიდევ... აი, კიდევ ერთი შედეგი ჩვენებური, ქართული დემოკრატიისა.

ვაძებნი მისხმელს, რომ ქვეყანაში ბევრი, ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი.

რა ბედენაა მხოლოდ იმისი ანგარიში, რომელ წელს მეტი და რომელ წელს ნაკლები ადამიანი დაშავდა და დაიღუპა ჩვენზე დაუდევრობით, საქმისადმი ზერეულ დამოკიდებულებით, გულთან ახლოს არ მიტანით...

ასობით ადამიანი იღუპება საავტომობილო კატასტროფებში.

ასობით ადამიანი იღუპება რიგობი-ექტებზე უსაფრთხოების სათანადო ზომების მიუღებლობის გამო.

მიწის ზევი თუ მიწის ქვეშ (მაღაროებში) დატრიალებულ უბედურ შემთხვევებს ბოლო არ უჩანს.

ვერ "ვხვდებოდი" და საოცრად მაღლობელი ვარ ერთ-ერთი ჩინოვიციის, ამას წინათ რომ მანუგემა", ჩემო კარგო, ავარიები ამერიკაშიც კი ხდება! მამინ რაღა გვიჭირს, იქნებ ამერიკ-



რდის გაკვირვების ჩატარება-არჩატარებას ეხება.

ვიდრე სკოლებში ამ "აუცილებელ სიახლეს" დაგვანონებდით, გავიხსენოთ მაინც როგორ ახერხებდა ის სისტემა, ბევრი ახლა წვეულს რომ ეძახის იმას, რომ მერხებზე ფეხმძიმე მოსწავლეები არ ჯდომოდან და სექსუალური აღზრდის გაკვირვების ჩატარების გარეშეც ღირსეული მომავალი დედები, მომავალი მამები აღეზარდათ?

ისე, თუ სიახლეა, სიახლე იყოს და ბარემ ვაჯობოთ ჩვენს მტრებს, საბავშვო ბაღებიდან დავიწყეთ ასეთი გაკვირვების ჩატარება.

არის ასეთი ტერმინი, სპორტული ინტერესით მაინტერესებს ვინ ჩაუტარებს ტრენინგებს სექსუალური აღზრდის პედაგოგებს?

ხომ არაა მოსალოდნელი პედაგოგობის კანდიდატებმა ერთმანეთს დასცხონ არა, მე უფრო სექსუალური ვარ და არა მეო? სა-სა-ცი-ლოა სატიარალო რომ არ იყოს!

მუჭით მიწა მიჰქონდათ ქართველ ემიგრანტებს საზღვარგარეთ და მიჰქონდათ ამგვარად საქართველოს სიყვარულიც, იქ, შორეულში.

დღეს უპრობლემოდ იყიდება ქართული მიწა არაბებზე, ჩინელებზე, ინდოელებზე, პაკისტანელებზე... ყოველგვარი პარტიულობის გარეშე იმ ადამიანებს ვემხრობი, ვაუტად რომ ითხოვენ ამ მტკიცეული საკითხის კონსტიტუციური გადაწყვეტილებისას მეტი სიბრძნის, წინდახედულებისა და გონიერების გამოჩენას.

საქართველო დახაც რომ არაა, ერთი, ათი, ასი... ცხოვრებით გმყოფილთა საკუთრება. საქართველო ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი, ანუ ხალხის.

და მაინც, რა გინდა, რისთვის გარჯილხარო, იკითხავს უთუოდ მკითხველი, წარმოედგინეთ და არც მე ვიცი რა მინდა, ისევ თქვენ მინდა გკითხოთ, საზოგადოებას.

როცა ის ვერ გავგირვევია, რისი უფლება აქვს პრეზიდენტს და რისი არა...

როცა ვამბობთ, რომ მოსამართლეთა უფლებები მეტად უნდა იყოს დაცული...

როცა... რამდენადაა დაცული ჩემი, შენი, თქვენი უფლებები?

ამთავითვე ნათელია ოპონენტთა პასუხები – ქვეყანა ერთ დღეში არ აშენებულა, მოთმენაა საჭირო.

კი ბატონო, მაგრამ რამდენ ხანს? ერთი, ორი, სამი, ათი... 26 წელი?

26 წლის კი არა, 26 თვის, ანუ 2 წლისა და 2 თვის ბავშვი, რაიმე პრობლემები თუ არა აქვს განვითარების კუთხით, ქვეყნის ამბებს მოეგეგბათ და 26 წელი?

არცთუ ვრცელი და არცთუ მცირე წერილი მაინც იმედინ ნოტაზე მსურს დაგამთავრო რაკი სხვა გზა არაა: იმედით ცოცხლობდა ყველა ქართველი,

იმედით ვცოცხლობთ დღესაც. ხვალის იმედით უნდა ვცოცხლობთ, არ მოგვიშალოს ღმერთმა!

დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: "ისტორია ბრძოლა... სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, ერთ ბიჯსაც ვერ წავდგამთ წინ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწყეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ"... თითქოს დღეს ეთქვას დიდ ერისკაცს ეს სიტყვები.



გამგებლის, ექიმის უფლებები? ხომ მერწმუნებთ ჩემი ნათქვამი რომ არაა, კარგი ცხენი მათრახს არ დაიარტყამსო?

იყოს მოსამართლე მართალი და არავინ გალანძღავს, მისი პატიოსნება იქნება მისი იმუნიტეტი ხელშეუხებლობით.

თნი საათი მშენებლების საყილოში

ლიპაზა გაგინაძე

ყველაფერი ენთუზიაზმიდან დაიწყო.

დაიწყო დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა წითელყელსახვევიანი გოგობიჭები უსხდნენ მერხებს.

ახალგაზრდა, ენერგიულ პედაგოგს, ქალბატონ გულიყო მხელაძე-ცინცაძეს მხარში მაშინდელი პიონერთა სახლის დირექტორი ქალბატონი მაყვალა ჩანუა, სახლის სხვა თანამშრომლები ამოუდგნენ და...

მერე იყო ექსპონატების მოძიების საინტერესო და რთული პერიოდები.

ნელ-ნელა ივსებოდა ციციქა ოთახი და დღეს უკვე მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე აქვს სამართლიანი პრეტენზია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილებას.

17 მაისი, ერთი დღით ადრე, მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს აქ შესანიშნავი ღონისძიება, რომელიც მუზეუმისა და არაერთი კეთილი საქმის ავტორმა თუ თანაავტორმა ბატონმა ჯონი ნადირაძემ გახსნა. მან მოკლედ ისაუბრა განვლილ პერიოდზე, სამომავლო გეგმებზე მუზეუმთან დაკავშირებით რომ არსებობს.

კიდევ ერთხელ დაწვრილებით ისაუბრა ქალბატონმა გულიყო ცინცაძემ იმ ადამიანთა დამსახურებაზე მუზეუმს რომ გვერდით უდგანან.

დარბაზში მყოფ გიგანტი ბიბლიო-შეღოსაც მოახსენა მადლობა და ქალბატონი ნათელა გელიშვილის მარადიულ თანადგომასაც თქვა, ქალბატონმა ნათელამ არა მარტო ექსპონატები გადმოგვცა, სადღილიც კი გაუმასპინძლა მუზეუმის სტუმარ-სპეციალისტებს.

ღონისძიებამ დარბაზიდან საქსპო-ზიციო სივრცეში გადაინაცვლა. ყურადღებით დათვალიერეს მოწვეულმა სტუმრებმა საინტერესო მასალები, წინა და ადრეული ხანის ნივთები, დღეს რომ საუკუნეებს ითვლის მათი ასაკი. გიღობაც თავად იყისრა ქალბატონმა გული-

კომ და არცთუ უბრალოდ, საოცარი სიზუსტით საუბრობდა თითოეული ექსპონატის ისტორიაზე, იმაზე თუ ვის მიერ მოხვდა იგი მუზეუმში და ა. შ. ღონისძიება გააფორმეს მუნიციპალიტეტში მოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა.



საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მსახიობ ფუფუნა ნიკურაძის მიერ აკანთან ნამღერმა "ნანამ".


"იუნესკომ" შარშან ქართული დამწერლობა საერთაშორისო დონეზე აღიარა. შთამბეჭდავად ისაუბრა ქართული ენის ისტორიის შესახებ უნიჭიერესმა ფილოლოგმა, ქალბატონმა ლია ამბროსიძემ, ბრწყინვალე იყო პატარა ლუკა სპირანტის მიერ წაკითხული ლექსი ქართული ენის შესახებ, ლექსი ბატონებმა ვეფხია ნადირაძემ და გიგანტი ბიბლიოშეღოსაც წაკითხეს. განსაკუთრებულია ბატონი დიმიტრი შანიძისა და მისი ოჯახის წვლილი ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. განსაკუთრებულია ისაუბრა შანიძეთა ლეონტი მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელმა ჯუნა გიგუაშვილმა.

ღონისძიებას მალაღი შეფასება მისცეს და სამუზეუმო საქმის მეტ მასშტაბურობას გაუსვეს ხაზი პედაგოგებ-



მა, ქალბატონმა ნინო ტონიამ და ბატონებმა კახა გაღდავამ და ირაკლი მაჭავარიანმა. აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით, კარგი საქმე კეთდება, განაცხადა საერებულოს წევრმა ბატონმა ტარიელ დვალისხილამ და ინიციატივაც გააქურდა მუზეუმის საქველმოქმედო ფონდის გახსნის შესახებ, რასაც შეკრებილი ოჯახებით შეხვდნენ.

ლაშაზად შედგა ლამაზი დღე. ყოჩაღ, გულიყო მასწავლებლო, ბარაქალა მათ, გვერდით რომ გიდგანან! ახალგაზრდებო, თანაქალაქელებო! მობრძანდით მუზეუმში და უკეთ გაიგებთ რანი ვიყავით, ვინა ვართ, საიდან მოვივართ...



თავისუფალ საქართველოს გაუქმებოს!

მნიშვნელოვანი თარიღია 1918 წელი საქართველოს უახლეს ისტორიაში. 8 თებერვალს თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, იმავე წლის 26 მაისს კი ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო დაიბადა.

ზეიმობდა ქვეყანა, სრულიად საქართველო, ყველა რეჯისისა და მრწამსის ადამიანი, დიხაც, იყო საზეიმო.

სამი წლის შემდეგ რუსეთის ანექსიას გადაჰყვა საქართველოს თავისუფლება. დაიღვარა სისხლი.

იუცკერები, გულმხურვალე ქართველები და მაყაშვილების უმრწამსი ასული მარო მაყაშვილი მღუღარე ცრემლით დაიტირა ქვეყანამ.

70 წლიანი კომუნისტური მმართველობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს აღდგა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

შეუძლებელია ისაუბრო 26 მაისზე ისე, რომ არაფერი ითქვას საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას შესახებ.

ზეიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დიდხანს უჩენდნენ თავსატეხს საბჭოთა რეჟიმს. რეჟიმიც რეჟიმობდა და სამშობლოს სიყვარული არ აპატიეს მერაბსა და ზვიადს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიღუპა მერაბ კოსტავა ტრაგიკულად.

საქართველო შერა ბოროთის ტრაგედია. ეროვნული გმირის ზედსახელით დაივანა საქართველოს ისტორიაში მერაბ კოსტავამ.

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა.

... დღეს საქართველო მეგობარ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს აღნიშნავს.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციები რიგ-რიგობით სტუმრობენ მეგობარ სახელმწიფოებს. დიპლომატიური მისიათა და მთავრობების წარმომადგენელთა სტუმრობა გახშირდა საქართველოშიც.

ხაზი ესმება სახელმწიფოებთან მჭიდრო სასიცოცხლო, ყოვლისმომცველ თანამშრომლობას.

სულაც არ გვიანდა, ცივი წყალი გადავასხათ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს, მაგრამ ივალს რომ ვაღვუენებ ამ საიუბილეო დღეებში გაკეთებულ განცხადებებს, თუ ვინ რამდენჯერ, რამდენით დაგვხმარებია ქართველებსა და საქართველოს, მიჩნდება (ჩემი აზრით) ლოგიკური კითხვა – ახლა ამ დღეში უნდა ვიყოთ?

?

არის რეჟიმი მოლოდინისა, მაგრამ... ამ ლოდინში ქვეყნად ყოფნის ნახევარი (თუ მეტი არა) გავიდა.

25 წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ლიპაზა გაგინაძე

საიხმის ინტელექტუალური თვისუფარზე სამცხედია ოჩი გუნდით ნახსრვა

მიმდინარე წლის 13 და 14 მაისს კურორტმა საირმემ უმასპინძლა "ინტელექტუალური თამაშების განაფხულის ფესტივალს – საირმე-2017". ფესტივალს უკვე ტრადიციული ფორმა აქვს და ის მეოთხე წელია, რაც ტარდება, ფესტივალის ფარგლებში ეწეობა ინტელექტუალური თამაშები: "რა? სად? როდის?", "პრინცი-რინგი", "ჯეპარდი" და სხვა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს უღიერესი მოაზროვნეები, წლეულს ჩემპიონატში 30 გუნდი ჩაერთო.

წინა წლების მსგავსად, ფესტივალში წელსაც მონაწილეობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალების წევრებიც, თუმცა სასიამოვნო სიახლეა, რომ წელს პირველად სამტრედიის მუნიციპალიტეტი 2 გუნდით იყო წარმოდგენილი, უფრო გამოცდილ და უკვე წარმატებულ გუნდს, "ინტერსტელი" (ლევიან ცირეკი, გიგა ჩალივა, გიორგი ცაგარეიშვილი, დავით მანჯგალაძე, ირაკლი ერაძე, გიორგი ჩანუა). ტოლი არაფერში დაულო, შედარებით უმცროსი ასაკის, ძირითადად სკოლის მოსწავლეებისაგან დამოძღვრებულმა გუნდმა "ხიხინი" (მამუკა კიდურაძე, საბა კაცაძე, თეა მიქელაძე, ლაშა ორმოცაძე, ლაშა ლორია). გუნდს ლიდერობდა მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, მეგლოთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი და ჩვენი კლუბის ერთი წამყვანი წევრი, ლაშა ლორია.

"სამტრედიის მაცნე" კომენტარი სთხოვა "ინტერსტელი" კაპიტანს გიორგი ჩანუას.

"პირადად ჩემთვის, როგორც სამტრედიის ინტელექტუალების ხელმძღვანელისთვის, ძალიან სასიხარულოა, რომ შესანიშნავი მომავალი თაობა გვეზრდება, რომლებსაც უფრო ვიწინასწარ ვიხილავ, ინტელექტუალური თამაშები, ჩვენ შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობთ მოვიზიდოთ ახალგაზრდები, ვატარებთ ვარჯიშებს, მუდმივად ვუმზადებთ მომავალი ტურნირებისათვის და ვფიქრობ, ამ აქტიურობამ უკვე გამოიღო თავისი შედეგი.

რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს – უკვე 1 წელია, საქართველოს ინტელექტუალებში, მისი ხელმძღვანელის, საქართველოს პარლამენტის წევრის – ბატონ გიორგი მოსიძის ინიციატივით დაინერგა ე. წ. "გრანდ სლეში", რაც გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ტურნირში გუნდის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისი ქულების შეკრებას და წლის ბოლოს საუკეთესოთა რეიტინგის გამოთვლას, ჩვენი გუნდის, რა თქმა უნდა, ჩართულია დიდ სლეში და საკმაოდ წარმატებულად ვასპარეზობთ, წინ ჯერ კიდევ არის დარჩენილი რამდენიმე ტურნირი, მათ შორის საქართველოს ჩემპიონატი, რომლის დასრულების შემდეგ მოხდება ზემოაღნიშნული რეიტინგის გამოკვეყნება. ასე რომ, უახლოეს მომავალში გვეცოდინება, თუ რა პრიორიტეტს მიიღწია სამტრედიის ინტელექტუალებმა, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენთვის მთავარი მიღწევა ის ახალგაზრდებია, რომლებიც ჩვენთან არიან და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება".

"კმაყოფილი ვართ, ახალგაზრდების ჩვენი გუნდის წევრების თამაშით, – გვითხრა ლაშა ლორიამ. – დიდი პასუხისმგებლობა აქვთ და ამას აცნობიერებენ".

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

“თამარს პაქეზდით მივსა”

ნათია ნაცვლიძე

კარგია, როცა “წარსულ დროებზე დარდს ვეკლავით” და გვაჯერა, რომ “ჩვენ უნდა ვცდივით ახლა სხვა ვარსკვლავს”, კარგია, როცა ახალი თაობა სწავლასა და შრომას უპირველეს იარაღად ირჩევს მომავლის შესაცვლელად. მას ხომ არა წარსულის გაიღვალე და ძველი დიდების ნასუფრალით ვამოკვება, არამედ, ღირსეული სახელმწიფოს შენება ვეალებ. 14 მაისი მეფეთ-მეფე თამარის ხსენების დღეა, სწორედ მას მიეძღვნა მეთორმეტე საჯარო სკოლაში შესამკლასელითა ღონისძიება, რომელიც დაწყებითების შედგენა და კლასის დამრიგებელმა, მედეა გვეგშიძემ მოამზადა.

ნიჭიერი მომავალი რომ გვეზრდება, ამ ღამეში ლიტერატურულმა საღამომ ნამდვილად დაგვარწმუნა. 45 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე მედეა გვეგშიძის შრომის შედეგი კოლეგების წინაშე უკვე მრავალჯერ წარმოაჩინა. ეს დღეც ერთ-ერთი გამორჩეული იყო. შესამკლასელები უკვე აცნობიერებენ, რომ თამარისდროინდელ საქართველოზე ოცნებებს კი არ უნდა მიეცნენ, თავადვე მოუპოვონ ქვეყანას ღირსეული მომავალი. პატარებმა ეს დაპირება მოგვეცეს. მათ შესანიშნავად მიმოიხილეს საქართველო

ის ისტორიის “ოქროს ხანა” წოდებული თამარის ეპოქა, გაიხსენეს ლეგენდები, მეფის სიკვდილის ისტორიას რომ უკავშირდება. ლეკლამაციის ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა თითოეულმა მათგანმა. უამრავი ღამე ლექსი ითქვა თამარზე, ამ მეფისთვის ხომ არაერთმა პოეტმა “ადინა სიტყვას თაფლი”. “ვეფხისტყაოსნის” სტროფებით დაწყებული, უამრავი ღამე ლექსი წარმოთქვეს ბავშვებმა. შესარულეს პატრიოტული სიმღერები, სადაც ასევე ნახსენები დიდი მეფის სახელი. საღამო მუსიკალურად სკოლის მუსიკის პედაგოგმა, ლელა გოლაძემ გააფორმა, მისი ქორეოგრაფიული ნაწილი კი ერთ-ერთმა მშობელმა, ეთერ ორმოცაძემ მოამზადა. სკოლის დირექტორი ხათუნა თელია:

“მადლობა ბავშვებო, ძალიან მომე-



წონეთ, ბევრი გიმომიათ, გავივით ჩვენი დიდი მეფის შესახებ, სიღამისთვის ერთად დიდი შემოქმედებითი ნიჭითაც ხართ დაჯილდოვებულნი, ხართ ძალიან მუსიკალურები, მშობლის ჩართულობამ აღმაფრთოვანა, მადლობა ქალბატონ ეთერს! მჯერა, საქართველოს ღირსეული შეილება იქნებით, უდიდესი მადლობა თქვენს პედაგოგს, მედეა გვეგშიძეს, რომელიც თამარის ხსენების დღეს არის დაბადებული და მას ვულოცავ იუბილეს.”

სასწავლო ნაწილის გამგე, ხათუნა კოსტავა: “საკუთესო საღამო მიეძღვნა თამარ მეფეს, შესანიშნავი ბავშვები ხართ, წარმატებებს გისურვებთ მედეა მასწავლებელი”.

“რომეო და ჯულიეტა” შეცვლილი ფინალით

ნათია ნაცვლიძე

შექსპირის ტრაგედია – “რომეო და ჯულიეტა”, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხშირად იდგმება და საუკუნეებია ინტერესს არ ჰკარგავს, ამჯერად მუშაობდა საჯარო სკოლაში დადგეს. ევროპისაკენ საზღვრებგაშლილი საქართველოს ენების მცოდნე, საკუთარი წარსულის პატივისცემელი და როგორც ნიკო ნიკოლაძე იტყვოდა, სამომავლოდ “დამზადებული” ახალგაზრდობა სჭირდება. ენის შესაშური ცოდნით და ნაწარმოების ღრმა გააზრებით შეძლოს სკოლის მეშვეობით კლასის მოსწავლეებმა ამ როლს თემატიანე შექმნა.

ინგლისური ენის პედაგოგმა ელისო სტურუამ გადაწყვიტა, ტრაგედიის ფინალი პეფი-ენდით შეეცვალა და წარმოდგენა რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის გამარჯვებით დასრულა. პედაგოგმა დეკორაციებზეც თავად იზრუნა და კოსტიუმებზეც. მასი შესაშური დიზაინერული ფანტაზიის წყალობით, მოსწავლეები

ელის (ზურა თევზაძე) და სხვა პერსონაჟთა საინტერესო თამაში იხილა... მონტაჟებისა და კაბულეტების დაპირისპირებისა და მტრობის მიუხედავად, სიყვარული იმარჯვებს. ასეთი ფინალი ისურვეს მოსწავლეებმაც და პედაგოგმაც. ელვარებას არც ერთ დროში არ ჰკარგავს შექსპირის 66-ე სონეტი, რომელიც ინგლისურენოვან წარმოდგენაში ორ ენაზე გაუძღვრდა და ამქვეყნიურ ამოღებულ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა. მოსწავლე



საწვევებსაც ამოხდა. ეს მოსაწვევები ფასიანი იყო. საღამო საქველმოქმედო და



ტვირთვას ატარებდა, შემოსული თანხით მოსწავლეებმა ტკბილეული შეიძინეს და სამტრედიის სათნოების სახლის ბინადართ გადასცეს.

სკოლის დირექტორი, მარინა გოგიშვილი: “სკოლაში უცხო ენათა კათედრას ნათია სხვიტარიძე ხელმძღვანელობს, ძალიან მეგობრული კოლექტივი გვაქვს, ამ დონის მიხედვით მზადება ერთი თვეა მიძინარობს, პედაგოგმა ელისო სტურუამ სკოლაში მუშაობის დაწყების დღიდანვე გაითქვა სახელი ორიგინალური დონის მიხედვით, ის თავად არის გამფორმებელიც, დეკორაციებისა და ლიბრეტოს ავტორიც. ასეთი დონის მიხედვით ემსახურება იმას, რომ ბავშვებმა ბევრად უკეთ შეისწავლონ ინგლისური ენა, მხოლოდ საკავშირის პროცესით არ შემოიფარგლონ. ერთის მხრივ, ბავშვი შეძენებითად ეზიარება უცხო და ახალ სამყაროს, და მეორეს მხრივ, მას გეგმონება უფალობდება. ისინი მსახიობები თუ არ გამოვლენ, კარგი მსმენელები და ხელოვნების ღირსეული დამფასებლები იქნებიან.”

სკოლის პედაგოგმა, ნანი ადიშვილმა წარმოდგენის შემდეგ “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში აღნიშნა: “შეამაყება და ბედნიერი ვარ, რომ სკოლაში ელისოსნაირი პედაგოგები მოდიან, სწორედ ასეთმა ახალგაზრდებმა უნდა გააგრძელონ ამ სკოლის საუკეთესო ტრადიციები.”

სკოლის პედაგოგმა, ნანი ადიშვილმა წარმოდგენის შემდეგ “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში აღნიშნა: “შეამაყება და ბედნიერი ვარ, რომ სკოლაში ელისოსნაირი პედაგოგები მოდიან, სწორედ ასეთმა ახალგაზრდებმა უნდა გააგრძელონ ამ სკოლის საუკეთესო ტრადიციები.”

ზბეა ზებეზაზიდი უპირის უპირისია!

ნათია ნაცვლიძე

2-7 მაისს სერბეთის ქალაქ ნოვი-სადში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დიდებს შორის. ამ ჩემპიონატზე წარმატებულად იასპარეზა ააბი სამტრედიის საჭიდაო კლუბ “ფალავანის” (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენმა გოგა გოგიბერაშვილმა. (66 კილოგრამი წონითი კატეგორია). სამტრედიელმა ფალავანმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. “სამტრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა გოგას პირად მწვრთნელს, მამუკა სტურუას: “გოგა 26 წლისაა, ის 11 წლის იყო, სამტრედიის სოფელ დიდ ჯიხაში ვარჯიშში რომ დაიწყო, ის და მისი ძმა, გოგიტა გამოირჩილენ დიდი სპორტული ფინითა და შრომისმოყვარეობით, გოგა 12 წელია, საქართველოს ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრია, იგი საქართველოს ჩემპიონატისა და სხვა საერთაშორისო ტურნირების მრავალჯერ გამარჯვებულია. განსაკუთრებული საამაყო მინდა აღვნიშნო, რომ ამ ჩემპიონატზე გამორჩეული იყო გოგას საჭიდაო ტექნიკა, მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ილეთებმა მაყურებელი აღაფრთოვანა. მინდა მივულოცო გოგას, მის ოჯახს და ჭიდაობის ყველა გულშემატკივარს ეს შესანიშნავი გამარჯვება. აგვისტოში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც გოგაც იასპარეზებს. მინდა ასევე ვუსურვო გამარჯვება, რათა კვლავ გაახაროს ქართველი გულშემატკივარი.”



დაბა კულაშის საჭიდაო დარბაზში, 17 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად სამტრედიელ ფალავანს ეს დიდი გამარჯვება მიულოცა.

სამსხეიედი ფაღვანების სჩიემდი

ნათია ნაცვლიძე

შედეგანი აღმოჩნდა სამტრედიის საჭიდაო კლუბ “ფალავანის” აღსაზრდელებისთვის ხარაგაულში ასპარეზობა, რომელიც 21 და 22 აპრილს გაიმართა. დასავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაზე უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის მონაწილეობდნენ ლუკა წიქვაძე, თედო დვალისძე, თემურ დარსაველიძე და პავლევა ფეხვანიძე. ოთხივე მათგანმა საპრიზო ადგილები დაიკავა, ხოლო ლუკა წიქვაძე ჩემპიონი გახდა.



სამტრედიელმა ფალავანებმა უფლება მოიპოვეს საქართველოს ფინალურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ეს უკანასკნელი 28, 29 და 30 აპრილს ქალაქ წყალტუბოში გაიმართა. ჩემპიონატში წარმატებულად იასპარეზა ლუკა წიქვაძემ და საქართველოს ფინალური პირველობის მესამე პრიზიორი გახდა.

ლუკა წიქვაძე მე-4 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა. იგი ჩემპიონატში 10 წლის ასაკიდან იწვრთნება, აქვს წარმატებები რესპუბლიკურ და სამხარეო ტურნირებში, როგორც ქართულ ჭიდაობაში, ასევე, ძიუდოში. ლუკა გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, დისციპლინითა და მიზანდასახულობით. მწვრთნელთა შორის სარეგლობის დიდი ავტორიტეტი.

ავთანდილ თარგამაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში: “ლუკა წიქვაძის წარმატებებთან ერთად ჩვენ გვახარებს ქართულ ჭიდაობაში მიღწეული სხვადასხვა წარმატება, რომელიც მაღალი რანგის შეჯიბრებებში ითვლება.

22 აპრილს ჩატარებულ დასავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაში

შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ქალაქ ახალციხეში ჩატარდა. ლუკა ქალდანი ამ შეჯიბრებაში მესამე ადგილის მფლობელი გახდა. წარმატებული იყო გიორგი ზაქარაძის და გოჩა ზაქარაძის ასპარეზობა კოლია ქვარაძის სახელობის ტურნირზე, სადაც ორივე ფალავანმა ოქროს მედალი მოიპოვეს. გიორგი ზაქარაძის წარმატება ვინემეთ ქალაქ კასპში საქართველოს ჩემპიონატზე, სადაც იგი ასევე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.”

სამტრედიის ქართველ მოჭიდავეთა გუნდი ამჯერად ემზადება ახალგაზრდებში ზონალური და საქართველოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 19 და 20 მაისს ქალაქ საჩხერეში გაიმართება.



მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ვერონელ ახალგაზრდებდა გარდაისახნენ. მოქმედების ძირითადი ადგილი მეკლასის იყო, სადაც გაცნო და შემდეგ შეიყვარა ერთმანეთი წყვილმა. დარბაზში მყოფმა მაყურებელმა რომეოს (საბა შუბლაძე), ჯულიეტას (ლიზა თარგამაძე), მიხრობ-

ებმა ამ ღამეს გააფხულზე, როცა უხილავ ხელს სიყვარულით მოუხატავს დეთისმშობლის წილხედრი წალკობი, სიყვარულის უსასრულობა შეგვახსენებს და ასე დაგვემშვიდობნენ: “გვიყვარდეს ერთმანეთი!!!”. შექსპირისეული გამონათქვამები სიყვარულზე გულის ფორმის მო-

სიკვდილის ჰანიკუხი შიში მაცე დავძლი

ნათია ნაცვლიძე

ამირან ხუჭუა სამტრედიის ცენტრში მდებარე ტელეკომუნიკაციების უპრეტენზიოდ საქმიანობა, ერთგული მოძრაობის ცეცხლი რომ ავთენტურად რეინტეგრირდა ქალაქში. დისიდენტური ლიტერატურა ყოველთვის ანტიკონსერვატორული მოძრაობის ლიდერთა მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციებზე რომ გამოიხატა, იმ დღიდან მოყოლებული, არც ერთი მიტინგი და აქცია არ გაუცდენია. სამოქალაქო ძმობაშიც მათი როლი, სამაჩაბლოში არეულობა, აფხაზეთის ტრაგედია... ყველა საბრძოლო ოპერაციის მონაწილე გახლავთ. დღემდე ერთგულებს იდეურ თანამებრძოლებს, არც გამსახურდასათვის უკლატანია და ყველაზე მაღლიან საქმესაც არ აკლებს ხელს – წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობს.

– როგორც ვიცით, ერთგული მოძრაობაში მეგობრებმა ჩაგაბეს...

– დედა შთამბრალავდა ერთგული იდეალებს, რუსული სკოლა მქონდა დამთავრებული, ერთნაირად ვფლობდი რუსულსა და მშობლიურ ენებს. დედა მორწმუნე ქალი გახლდათ, ქუთაისში პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია იყო და იქ დავდიოდით შაბათ-კვირას. დატვირთული ვიყავი, იმდენი ტელევიზორი მეყარა თავზე. ხალხმა მომსწრე, როგორი ისტერია დაემართა, 9 აპრილის ტრაგედია რომ დატრიალდა, ტელევიზორები კინალამ დავამტვრიე. ჩემზე უფრო ახალგაზრდები იყვნენ ჩართულნი ეროვნულ მოძრაობაში. მეგობარმა, მალხაზ ადგიშვილმა მიმიყვანა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან. მაშინ რამაშ ჯუღაიძის თაოსნობით ჩამოყალიბდა სამტრედიის სახალხო ფრონტი. 9 აპრილს გარდაცვლილთა ორმოციანი აღსანიშნავად ფეხით ჩავედი ღანძრში, მერე შიმშილობის აქციებზე ტექნიკურ დახმარებას ვუწევდი მოქალაქეებს (გამზოვანება იყო საჭირო თუ ხმის გამძლიერებლები, მეგაფონები). მაშინ ისე ჩანდა, სახალხო ფრონტი ყველა პარტიის გამართიანებული იყო. სხვა ქვეყნებში კომუნისტები აღმოჩნდნენ ანალოგიურ ორგანიზაციებში, მსგავსი საქართველოში რომ არ მომხდარიყო. ზვიად გამსახურდიას ინიციატივით ნოდარ ნათაძე აირჩიეს ხელმძღვანელად. სამფეოდალო დროში გაგივით და სიამაყით დავდიოდით. ერთი-ორჯერ სასადილოში საქეიფოდ თუ ღვინის დასალევად შევედი და ვხედავ, მანგარისებურ ბეგრად ცოტას, ვიდრე უნდა გადახედავ. ვკითხე, ასე რატომ ანგარიშობ, წესიერად მანგარიშ-მეთქი და კიდევ მოუკლო თანხას, მერე კითხე, რატომ აუთუბ ამას-მეთქი და ბოლოს გაირკვა, რომ თურმე ჩვენი მეგობრები პურს ჭამდნენ სასადილოებსა და ბუფეტებს. მერე ვილატეები დააკავეს, ვინ ჰკითხავდა ეროვნულ მოძრაობას ეკონომიკურ საკითხებში ჩარევას და პოლიციის ფუნქციის აღებას თავზე? ასე შეილახა სახალხო ფრონტი სახელი, შემოცხვდა და დატოვდა ეს ორგანიზაცია...

– შემართება და ერთობა ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ ლიდერებს, ალბათ, უთუოდ გქონდათ ქვეყნისთვის თავგანწირვის გრძობასთან ერთად...

– ძალიან დიდი მუხტი იყო, იმართებოდა საპროტესტო აქციები, რომ ქართველებს არ გვემსახურა საბჭოთა ჯარში, ასე დაეუახლოვდა ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერს. მერე “წმინდა ილია მართლის საზოგადოება” რომ დაფუძნდა, ეღუარდა ახლობელი მითხრა, გა-

ვეწვრიანდეთო. ეს შეკრება გასაიდუმლოებული იყო, ვერავინ იცოდა, ვინ იყო სამხატვრო გალერეაში, ყველა ჩვენი მხარდამჭერი იყო, ვკითხოვდნენ ოთახებს... მერე დედაქალაქში “წმინდა ილია მართლის საზოგადოების ყრილობაზე” ზვიად გამსახურდიას ვიპოვე, ის პელსინკის ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მაგრამ მაინც ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას აირჩიეს. სიამაყით მიხდა ვთქვა, სამტრედიის ბატალიონის პრეზიდენტისთვის არასოდეს უკლატანია, სამტრედიელები ბოლომდე ვიცავდით მას. გენერალი პატრიკევი იყო ზვიადთან მეგობრობაში შემჩნეული, ამიტომ პატრიკევი რუსებმა ჩრდილოეთ-კასიული ბეგავეთ შეცვალეს, როცა უკვე გამსახურდიას ხელისუფლების ოპოზიცია სასოწარკვეთილებში ჩავარდა და რუსეთში უნდა გაქცეულიყო კიტოვანი, მან კიტოვანი შეაიარაღა, ზარბაზნები მისცა და დაიწყო შეტევა... ეს ბომბი რომ ჩამოვარდა, ჩავაქრეთ ხანძარი, მერე კედელი რომ დაიხრდა, ჩამოვარდნილი აგური მომხვდა თავში. მაშინ ვიმყოფებოდი მონალიესთან რაზმში, ბიჭების ნაწილი შიგნით, ნაწილი გარეთ ვიყავით, მთავრობის სასახლის დატოვების წინა დღეს დავიჭერი, ბუნებრივად, სასადილოში იყო ლაზარეთი მოწოდებული, სადაც შალვა ცინცაძე და მე ვიყავით, თურმე კანტუნიამიდეულს ახასიათებს, სურს გამორდეს იმ ადგილს, სადაც დაზინება მიიღო, ვიამქსს რომ არ შევეჩერებინე. შენობის მესამე სართულიდან გადავხტებოდი, მერე გამთენიისას გაგვადვილეს და გვითხრეს, ზვიადი ტოვებს მთავრობის სასახლეს და საუკიდროფოში უნდა გადავიყვანოთო, რასაც არ დავთანხმდი, ჩემი ბიჭები არ მიმიტოვებია. ჩვედი იმ ოთახში, სადაც ჩვენი მომხრეები იყვნენ. იქვე იყო დეპუტატი ლია კაცაძე, ზოგს კორილოში ეძინა, ზოგს – იატაკზე, ჩავიცვით და ავტობუსით გამოვედი, ტვირის შერყევა მქონდა, გული მეროდა. პრეზიდენტი შავი ვოლგით გავიდა, ბარათაშვილის ხიფზე დავვიშინეს ტყვიები, სამინელი სურათი იყო, ამ ავტობუსში იყვნენ გამსახურდიას მომხრეები. ერთ-ერთი გოგია ფხვენისელი იყო, ის მეტად იყო, მახსოვს, რაც მოგებას ნახულობდა, იარაღს ყიდულობდა, შეაიარაღა ფხვენისელი ბიჭები და შიშის ზარს სცემდა ოსებს, “კამანზე” დააყენა მსხველკალიობრიანი ტყვიამფრეკვედი და უშენდა ოსებს, როცა ქართველებს შეავიწროვებდნენ. იგი მთავრობის სასახლეში იყო, გამოსვლისას მძღოლის გვერდზე იჯდა, ვხედავ, ამ ნამდვილ პატრიოტს შუბლი აქვს გახურებული... მერე ტყვიებს დავემალეთ და აღმოჩნდით ავლაბარში, გახვდი ცუდად, ვილატე ექთანმა ქალბატონმა შემოც-

ოდა და შემოფარა, დამაწვინეს, სამი დღე მეძინა ფაქტობრივად, ძალაგამოცლილი მესამე დღეს სადგურზე გავედი, დასავლეთისკენ მხოლოდ მატარებლები გამოდიოდნენ, აუარება ხალხი შეკრებილიყო ვაგზლის მოედანზე, იქაურთა მომიტინგეებით იყო გადაჭედილი. ისინი აპროტესტებდნენ ზვიად გამსახურდიას დამხობას, მოცვივდნენ ეს მხედრობიერები და უიარაღო მომიტინგეები დაცხრი-



ლეს. მაშინ ისიც მიხერეს, ერთ-ერთი ნიღბიანი იყო ბუბა კეკელიძე, ისროდა თუ არა, არ ვიცით. უმოწყალოდ დახერტეს ხალხი... მატარებლის მძღოლმა “სადგურ ქუთაისი მერეში” ჩამომიყვანა, ავტობუსი ჩამოვარდა, სამ მანეთად წაგიყვანა ქუთაისამდე, სუსტად ვიყავი, ჩამავებული რომ მქონდა თვალი, მძღოლმა ფული არ გამოძარცვა, მიხვდა, ომის მონაწილე ვიყავი... სახლში გარდაცვლილი ვეკონე, დავრეკე და ახლობელთან მივედი. ქუთაისი უკვე ახალ მთავრობას ეკავა, სამტრედიის ჯერ არ იყვნენ შემოსული და ემიზონდო თურმე, რადგან აქ ელოდნენ ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. ავტობუსში უკანა რიგში დავჯექი, რომ არ ვეცენ, სამტრედიის ჩამოვდი, სადაც წინააღმდეგობის შტაბი არსებობდა.

– აქ ზვიადისტების მომავალი ბუნდოვანი იყო...

– მახსოვს, ზვიად ძიძიურმა მოგვიწვია, ტყვია არ გავარდეს, ხალხი არ დაიღუპოსო და დავტოვეთ ქალაქი...

– თქვენს მიმართ რეპრესიული მანქანა არ ამუშავებულა?

– ნოდარ ძნელაძემ ძველი მხედრონელი, ქუთაისელი ელდარი გამომიგზავნა სახლში, ზვიადისტების საწინააღმდეგო ყველა რეპრესიის შემოქმედი იგი იყო, აქაურები ვერ დაითანხმა რეპრესიებზე და ეგზეკუცია კახეთის მხედრონის ხელით ჩაატარა. მათ ხელფასს უხდიდა ამაში. გამსახურდიას მომხრეებს თავიდან ჯიხეთის მონასტერში დავგვადედა დახლოების მიზნით. იმის მიუხედავად, რომ იყო ათეისტი, თანამდებობას მოწვევებული მდროვე, ყოველნაირად ცდილობდა თანამდებობაზე ყოფნას. გამსახურდიას მომხრეები ფიზიკურად რომ გაენადგურებინა, თვალს არ დაახამხამებდა. სამხედრო საბჭო რომ შეიქმნა, სამტრედიის ხელმძღვანელი პირი ბორია ფოცხევარაშვილი იყო, მერე იგი ნოდარ ძნელაძემ მოიშორა...

– მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს...

– საიდან ვთქვა მასზე კარგი, როცა ჩვენს ბიჭებს ამდენი აქვთ გადატანილი. რუსთაველის ქუჩაზე ვცხოვრობ, მახსოვს, ტაქსით მომადგა შავი ტყავის ქურთუკიანი ელდარი და მეუბნება: მანქანაში ჩაჯექი, საქმე მაქვსო, ვინა ხარ და რა გინდა-მეთქი? ჯემბრზე დამქანა, რომ გუებნები, წამოდიო, ვილატე გადმოვიდა მანქანიდან და იმანაც დამქანა, ძალა მოვიკრიბე, თითები ამოვუტრიალე და ხელი ვკარი, ჩემმა ცოლმა წინააღმდეგობა გაუწია, რა გინდათ ამ კაცთან... ამ დროს ვილატეამ გადატანა ავტობუსი და მორბის, რომ მანქანაში ჩამავდოს. ხელი სიმწრისგან ამოვუტრიალე, გადავარდი ეზოს უკან და მუხობელმა შემოფარა იმავე ქუჩაზე... ვხედავდი, როგორ დადიოდნენ მანქანებით და მეტებდნენ, ბოლოს ვერ მიპოვეს და ასე გადავარჩი. კარგა ხანს ბათუმში ვიმალეობოდი...

– 24-ე ბატალიონის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორიც ხართ, ამ ბატალიონში ყოფნის წლებს როგორ იხსენებთ?

– დაიხ, ერთ-ერთი ორგანიზატორიც ვარ თამაზ ესებუასთან ერთად. ზვიად ძიძიური თან უზენაესი საბჭოს წევრი იყო, თანაც პრეფექტი, ორი საქმის შეთავსება ძნელი იყო, უამრავი საქმე ჰქონდა საკეთებელი, სამტრედიის პრეფექტად ავთო ადგიშვილი გვსურდა, ეს ზვიად ძიძიურის სურვილიც იყო, ის პატიოსანი, განათლებული, ერთგული კადრი იყო, ზვიადის დი-

დასაყრდენი. ავთო ძალიან ეხილებოდა მას და ბევრ საქმეს აკეთებდა. ორივე ზვიადის ერთგული იყო. ამ ბატალიონში ასეულის მეთაური ვიყავი, არადა, მანამდე რუსული ჯარის გამომცდილებაც არ მქონდა, არც მსურდა რუსულ ჯარში სამსახური. ცხინვალში ზედა და ქვედა ნიქონში ვპატრონობდით, მახსოვს, იქ 1991 წელს ჩავედი, პოლიციელებით საინციტივო ჯგუფი შედგა. ზვიად ძიძიურმა თქვა: დაყარალებები განშირდა, პოლიცია დაუძღვრდა და საჭიროა შეიარაღებული რაზმი, წესრიგი რომ დაიცვას ქალაქში. მოგვცეს იარაღის ტარების უფლება, ჩემი ხელისუფლების დასაცავად ყველაფერს გააკეთებდით, ყანალობას და არეულობას როგორ მოვიწონებდი? მერე დადგა გვარდიის ჩამოყალიბების დრო. გამსახურდიას შეეძლო შს-ს ძალების იქ გადასროლა. სამაჩაბლოდან პოლიციელები რომ ჩამოასვენეს სამტრედიის, ხალხი ზოგი ალმაცერად გვიყურებდა, თქვენმა ხელისუფლებამ გაანაღა ომიო, ეროვნულმა ძალებმა გამოუთქვით სურვილი და ჩვენაცვლეთ სამტრედიელ პოლიციელებს. პოლიციაში არც ერთი არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ მილიციის ფორმაც ჩავიცვით სამშობლოს დამცველებმა. მახსოვს, ფორმაში ზოგმა ოცმანეთიანი იპოვა ზოგმა ხუთმანეთიანი... ომში ნამყოფნი არ ვიყავით და საბავშვო ბაღის ეზოში დავბანაკდით, ტყვიები რომ მოდიოდა ცხინვალის მხრიდან, ჩვენს შენობას გადაუვლიდა... ჩვენთან ერთად იყვნენ მონალიესები, მახსოვს იყო ერთი ქართველთმძულე პროკურორი, რომელიც ყველა ქართველს დასჯიდა, ვინც ხელით ჩაუკარდებოდა, ოსებმა დაიკავეს ქართული სოფელი გუჯაბაური, იქ ჰქონდა სახლი ამ პროკურორს, რომლის საწინააღმდეგო ოპერაციაც დავგეგმეთ. ვილატემა გაგვიყვანა, ავებტუხეს სროლა, ჩემი იარაღი გაიჭვია, ეკალ-ბარდებში ვარ, ავტობუსს ვერ ვისვრი, რომ გავიქცე, იფიქრებენ, შემიხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცაო. ყუმბარა რომ ვისრ-

ლო, ამ ეკალ-ბარდში თავადვე ავფეთქდები-მეთქი, ვიფიქრე. სამინელი სროლა მიმდინარეობდა, დაგვეძლი იყო, რომ არიერგარდში ვყოფილიყავი, ზურგი დამეცვა, მაგრამ ვინც ავანგარდში იყო, მითხრა, ცუდად ვარ და იქნებ წინ წახვიდეო, დაეიყვანე მისი პოზიცია. პანიკური შიში ომში ძალიან დავძლიე, კაცი ერთხელ იბადება, ახლა მოვკვდები თუ მერე, რა მნიშვნელობა აქვს-თქო...

– თქვენს ბიოგრაფიას აფხაზეთის ომის მონაწილეობაც ამუშავებს...

– ომი რომ დაიწყო, თვითმფრინავით გადმოვფრინე რუსეთიდან სოხუმში მეუღლეს, რომელიც ონკოლოგიურ ცენტრში მყავდა წაყვანილი. მახსოვს, სოხუმში უკვე შეიარაღებული ბანდ-ფორმირებები დარბოდნენ. დღეს ამბობენ, თითქოს ქართველები შევიდნენ იქ პირველები. ეს ომი არ იყო ჩვენი ომი. კარგად მახსოვს, ლოთი ქობალია რომ ჩამოვიდა სამტრედიის და გვითხრა: “ბიჭებო, ქვეყანა ყველას ერთი გვაქვს და უნდა ვიომთო. გამსახურდიას დამხობის შემდეგ 24-ე ბატალიონის წევრებმა ჩვენი ტერიტორია დავტოვეთ, მერე მოსახლეობამ გამარცხა იქაურობა... კულტურის სახლის ტერიტორიაზე შევხვდით მას ბატალიონის წევრები, ჩავსხედით ავტობუსებში და ანაკლიაში წავიდით. მეუღლე ახალგაზრდაცვლილი მყავდა და მოხდა ისე, ტამიშის ოპერაციაში არ მიმიღია მონაწილეობა. რუსული დესანტი რომ გადმოსხეს, სამთავრობო ჯარი, მხედრონი და ზვიადისტები გაერთიანდნენ. ამ ოპერაციას, სამწუხაროდ, ავცდი, მაქვს ე.წ. “ზოტი” – ხელოვნური საფარიც ანაფეთქები, ერთ ღამეს პოზიციური ბრძოლები რომ მიმდინარეობდა, მე და შმაგი სიხარულით შემაძღვრებულ ადგილას ვიყავით, ჩვენი თანამებრძოლი სოსო ცირეკიძე გვიყვირის (ის გვარდიის შტაბის უფროსი იყო): ტყვიამფრეკვეი ესროლეთო, ეს ძველი ტყვიამფრეკვეი გაიჭვია, უკარგისი, ჩამოწერილი ტექნიკა იყო, ავტობუსის სროლას აზრი არ ჰქონდა. მახსოვს, გვექონდა ფუმბარტყორცნი, რომლის სროლაც თეორიულად ვიცოდით, მაგრამ არასოდეს გავყვარებოდა. შმაგემ მითხრა, ვერ ისროლეთო, გაემე მხარზე და უსინოლე-უკუნი დაემე იყო, დავუბნენ მტრის ამ “ზოტს” და ავაფეთქე. მერე სროლის დროს ავაშორე...

– ზვიადის მომხრეები დღეს შეიძლება, პოლიტიკურად განსხვავებულ ბანაკშიც იმყოფებოდნენ, მაგრამ ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობა აქვთ...

– ტერმინი “ზვიადისტი” შეურაცხყოფილი არ არის, ამაზე არ ვბრუნდები, ფანატისი არასოდეს ვყოფილვარ, მთავრობის სასახლეში რომ ვიყავით, მახსოვს, გამსახურდიას შენობიდან გამოდიოდა და გვესაუბრებოდა ბიჭებს. ჩემთვის ის კერპი არასოდეს ყოფილა, პატარა ბიჭი არა ვარ და ვიცი, რა არის კერპი და ბელადი, მიმანდა პატრიოტადმიანად, ზვიად გამსახურდიას გამონათქვამებს, პუბლიცისტებს, საჯარო გამოსვლებს რომ გადავხედოთ, ვერ ვნახავთ ვერსად, მას შეცდომა დავუშვას... ილია ჭავჭავაძის მერე მას მივანინე დიდი მოღვაწედ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იყო, ზვიადი იყო გარეკვლად ჩაკეტილი სივრცეში, ხალხს ემინოდა მასთან ურთიერთობა, ის ერთგვარ იზოლაციაში იმყოფებოდა, საბჭოთა ინტელიგენციას იგი არ მოსწონდა, საყადრო შეცდომებიც ჰქონდა, მაგრამ ეს არ ყოფილა მისი არაკომპეტენტურობის ბრალი, ბევრმა უკლატა, ვინც მან წინ წასწია, სწორედ მან პირველმა უკლატა.

ყველა თჯახში სიბობა მუშაქვს

ამთავან ჩაქობი

ცივილიზაციამ გერაფერი და-
 აკლო ბუხარს. ის მაინც რჩება
 სიმეყდროვის და სიბობის წყარ-
 ოდ. ერთხელ თუ მაინც მეჯდარბ-
 არ მოგუშვებ ბუხართან, ადვი-
 ლად მისახვედრია, რატომ გერ
 შეგლეოს მას. დრომ თავისი ტენ-
 დენციები მოიტანა და ბუხარმაც
 იერსახე იცვალა – გაუმჯობეს-
 და, გათანამედროვდა, გამრავლ-
 ფროვნდა. შუა ცეცხლიდან ბუ-
 ხართან რომ გადმოინაცვლა ჩვე-
 ნმა წინაპარმა, მას შემდეგ აქია
 იგი ეროვნული ტრადიციების ნა-
 წილადა. ერთ დროს თუ მხოლოდ
 წარჩინებულთა საკუთრებას წარ-
 მოადგენდა ბუხარი და მათ ფუ-
 ფუნებას უსჯამდა ხაზს, ახლა სა-
 ზოგადობის ყველა ფენის საც-
 ხოვრისში გაჩნდა ის, ინტერიერ-
 იც დაამშვენა და განწყობაც აა-
 მაღლა. და ასე, “იერხება ალი
 ბუხარის” და “ცეცხლიც როდი
 უფროხის ფიქრებს”.

რი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებე-
 ლი და როგორც თვითონ ამბობს, მისი
 კარიერაც აქ დასრულდა.
 “ქობალიამ რომ პირველად ჩამოაგ-



ლო ბობში სამტრედიამი, მერე აღარ მი-
 მუშავია. მე მეომარი კაცი არ ვარ. მაშ-
 ინაც და ახლაც ვფიქრობ, რომ პრობლ-
 ემები სიტყვით, მოლაპარაკებებით უნდა
 გადაიჭრას”. – მაჩინია მას.

მიმე დრო დაუდგა ქვეყანას და ბატ-
 ონმა ბადრიმაც საკუთარ ენოში დაკრეფ-
 ილი 2 ტონა ლიმონი რუსეთში წაიღო
 გასაყვად.

“მაშინ სამი შვილი მეყავა – ორი
 სტუდენტი და ერთი პატარა. ოჯახი ხომ
 უნდა მერჩინა?! რუსეთში, იცით, ქვის

ვეჯექი ამ წიგნს, შემდეგ ინტერნეტშიც
 მოვიძიე ბუხარის სხვადასხვა მოდელი. რაც
 კარგი იყო, აქედანაც და იქიდანაც გადმ-
 ოვიდე და ფინურ-ნორვეგიულ ბრენდამ-
 დე მივედი. 2000 წელს,
 როგორც არარეგალი,
 რუსეთიდან გამომაძივეს
 და მას შემდეგ საქართ-
 ველოში ვსაქმიანობ”. –
 გვიყვება იგი.

დაწყება გაუჭირდა,
 მაგრამ ახლა თვე არ გა-
 ვა, ერთი ან ორი ბუხა-
 რი არ გააკეთოს. მარ-
 ტო მშენებელი კი არა,
 კარგი მეურნეცაა ბატ-
 ონი ბადრი. საკმაოდ
 დიდ ტერიტორიაზე ლი-
 მონი აქვს გაშენებული
 (წუხს, წლებადღობა ფი-
 ნეებმა რომ დაუზიანეს),
 ბულგარულად მოჰყავს
 და თევზის აუხსაც ფლ-
 ობს. ისე ვცხოვრობ, სო-
 ფელს რომ შეფერებაო,
 – გვარწმუნებს. არ უყ-
 ვარს, როცა კლიენტები

ჩაკვირებენ და უადგილო შენიშვნებით
 თავს აბუნებენ, იმიტომ, რომ უგულოდ
 არასდროს არაფერს აკეთებს. “დავათვა-
 ლიერებ ოთახს, შევაძოწმებ მასში ჰაერ-
 ის მოძრაობას გადებული კარებიდან და
 ფანჯრების შემთხვევაში, ვსვამ დიაგნო-
 ზს და ვურჩევ კლიენტს, თუ როგორი
 მასალა უნდა შეიძინოს. ფართთან ერთ-
 ად ბუხარის ზომებიც იზრდება. მინიმუმ,
 20 კვადრატული მეტრი მაინც უნდა იყ-
 ოს ოთახი, ბუხარი რომ ამოშენდეს. ეს
 საქმე სიზუსტეს მოითხოვს და მცირედ-
 ენი დარღვევაც კი პრობლემებს წარმოშ-
 ობს. 2000 წელს რომ ავაშენე ბუხარი,
 დღემდე უნაკლოდ ასრულებს თავის ფუ-
 ნქციას”. – გვიხსნის მეტუხრე.

არის კიდევ ის, რაც “ფირმის” საიდ-
 უმლოს წარმოადგენს და განსაკუთრებუ-
 ლობას სძენს. ბევრი ეცადენ მის გამოც-
 ნობას, მაგრამ ამაოდ. თუ ძველი მამა-
 პაპური ბუხარი ცხელ ცხვირთან და ცივ
 ზურგთან ასოცირდება, მისი ბუხარი მთ-
 ლიანად ათბობს სივრცეს. ამასთან, კონ-
 დიციონერის მოვალეობასაც ასრულებს.
 როგორც ბადრი ფხაკაძე ამბობს, ერთი
 ნაკლი აქვს მხოლოდ: მეტალოპლასტიკის-
 ის კარ-ფანჯრები ჰაერს გაწოვის საშუა-
 ლებას არ აძლევს და ამიტომ იძლევა
 რეკომენდაციას, სარემონტო ყოველივეს ღი-
 ად დატოვონ.

ძირითადად, აგურის ბუხარებს აშენე-
 ბს, მასალად უკრანინდან და ირანიდან
 შემოტანილი აგურს იყენებდა. წელიწად-
 ნახევარია, იქაური აგური საქართველო-
 ში აღარ უნახავს და მიწაბოგირაზე დამ-
 ზადებული აგურით სარგებლობს.

არა მარტო ქვეყნის სხვადასხვა კუ-
 თხეში, სამტრედიამშიც ბევრი ეფიცება
 მისი ხელით აშენებულ ბუხარს. მაგალი-
 თად დიდ ჯიხაიშელი ამირან ლეყავა მო-
 ჰყავს, ყველა ოთახში რომ ააშენებინა იგი.
 გვიხსნის: “რუსებს აქეთ ასეთი გამ-
 ოქმა: “პეტუშოკ ილი გუსინოვ” – ჩაა-
 გლებდნენ ბუხარის მიღში მამალს ან ბა-
 ტს და მათი ფრთხილად წმენდენ მას. ახ-
 ლა სხვა მეთოდებს იყენებდნენ. კარგი
 ბუხარი კვამლს არ აბრუნებს და მტვრის
 პაწაწინა ნაწილსაც არ ტოვებს”.

მექითნეს ქოთანი არ აქვსო, – დასძ-
 ენს და დღემდე ბიძის, იონა ივანიძის
 მიერ გაკეთებული ბუხარი აქვს სახლში.
 იმ კაცის, ვისი ხელითაც სამტრედიამში
 ადმინისტრაციული სახლის წინა ფასადი
 თაღებით დამშვენდა. სურვილი აქვს, თუ-
 ვის, განსაკუთრებული ბუხარი გააკეთ-
 ოს, მაგრამ ამისთვის დრო არ რჩება.
 ამასობაში კი “მიფრინავენ წლები ასე,
 თითოდებიან გომრის თმები” – მოიშველა



ლექსის სტრიქონები. უყვარს ხატვა, თუ-
 ვზაობა, ნადირობა და ფეხბურთი. “სად-
 აც ბურთი იყო, ყოველთვის იქ ვიყავი და
 სადაც მე ვიყავი, იქ ბურთი იყო. ჯერ
 კიდევ სკოლაში სწავლის დროს თანამო-
 აზრეებთან ერთად ხუთი სტადიონის მშ-
 ენებლობაში ემონაწილეობდი. ერთ-ერთი
 ვაღურაა, რომელიც ეწრის თემის რუკ-
 აზეა დატანებული”. – თქვა მან.

კიდევ ლამაზად მოუბარი კაცი უყვარ-
 ს, თვითონაც ლხინის მოყვარული და
 ენამჭკვრია. ერთი დიდი სურვილიც აის-
 რულა, შეიღებოს სათანადო სწავლა-განა-
 თლება მისცა. ბატონი ბადრის მეუღლე



ელისო მახათაძე პროფესიით ლაბორან-
 ტია და წლების განმავლობაში ეწრის ამ-
 ბულატორიაში მუშაობდა. უფროსი შვი-
 ლი სოფიო ჰედაგოვია, თბილისში ცხო-
 ვრობს და მუშაობს; თავს იდანამაულებს
 მამა, არაჩვეულებრივად ხატავს და ხე-
 ლი ვერ შეუწყვეო. იგონებს, ელენე ახ-
 ვლედიანს რომ უნახავს მისი ნახატები,
 აღფრთოვანებული უთქვამს, საიდან ასე-
 თი შავ-თეთრი ფერებით.

ნორამ სდასუ-ში სამედიცინო ფაკულ-
 ტეტი დაამთავრა და თბილისის ერთ-
 ერთ კლინიკაში ლაბორატორიის უფრო-
 სის მოადგილეა. მას 3 შვილი ჰყავს; სა-
 ლომემ სახელმწიფო პოლიტექნიკურ უნ-
 ივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტი დაამ-
 თავრა, “ეკოფუდში” მუშაობდა, 2 შვილი
 ჰყავს და ამჟამად ოჯახთან ერთად პორ-
 ტუგალიაში ცხოვრობს. უმცროსი, მამუ-
 კა ბავშვობიდან თვითმფრინავებით იყო
 გატაცებული და არჩევანზე საავიაციო
 ინსტიტუტზე გააკეთა. ამჯერად ამავე ინ-
 სტიტუტში საზღვარგარეთთან ურთიერ-
 თობისა და მარკეტინგის განყოფილების
 უფროსია.

“სამტრედიამი კაცი თუ ცხოვრობს,
 ყველას უნდა იცნობდეს. დილით რომ შე-
 გხვდება, თუნდაც უცხო, გამარჯობა უნ-
 და უთხრა. იმან “გამარჯობათი” აღარ
 უნდა გიპასუხო. “ღმერთმა გაგიმარჯ-
 ოს!”, “გაგიმარჯოს, ბატონო!”.. ქართუ-
 ლში ბევრი კარგი სიტყვაა მისალმება
 კეთილად დაგებურნოს. დღეს ასე არ ხდ-
 ება. ზოგს არ მოსწონს შენიშვნას რომ
 ვაძლევ, მაგრამ მე ასეთი კაცი ვარ, ზო-
 გადღ, ტრადიციების პატივისმცემელი.”

ახალგაზრდა მეტუხრე ვის უნახავს,
 ჩემს ასაკს რომ შეეფერება, ისეთი პროფ-
 ესია მაქვსო. – ხუმრობს. სინამდვილეში
 კი გული სწყდება, ახალგაზრდები რომ
 ვერ დაინტერესა თავისი პროფესიით, შე-
 სთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. თვითონ
 კი საიმედოებას ანიჭებს ეს საქმე და ღი-
 დინ-ღიღინშიც აგური-აგურს ემატება...

ბუხარზე წერა მეტუხრემ გადაგვაწვე-
 ეტინა. შორეული წარსულიდან ან კიდევ
 ზღაპრიდან გადმოსულს არც ჩვენი რეს-
 პონდენტი ჰყავს. ისიც თანამედროვეა, უყ-
 ვარს თავისი საქმე და ყველა ოჯახში
 სიბობა შემაქვსო, ეამაყება.

ეწრელ ბადრი ფხაკაძეს
 მარტო სამტრედიამი არ იც-
 ნობენ. მის აშენებულ ბუხარ-
 ებს მაქებარი საქართველოს
 ყველა კუთხეში ჰყავს. მეტუ-
 ხრეობაზე არასოდეს უოცნე-
 ბია, მაგრამ ინტერესმა და სუ-
 რვილმა, კიდევ ერთი პროფ-
 ესია შეეძინა, პროფესიონა-
 ლად აქცია. მამაც ხელოსა-
 ნი ჰყავდა და ბაბუაც. თვით-
 ონ საშუალო სკოლის დამთ-
 ავრებისთანავე სწავლა თბი-
 ლისის სახელმწიფო პოლი-
 ტექნიკურ ინსტიტუტში გაა-
 გრძელა და მშენებელი ინჟინერი გახდა,
 რეინა-ბეტონის წარმოების ტექნოლოგი-
 ას დაეუფლა. სამტრედიამი სხვადასხვა
 საწარმოში სხვადასხვა თანამდებობაზე იმ-
 უშავა. იყო საამქროს უფროსი, ტექნიკუ-
 რი განყოფილების უფროსი, სამშენებლო
 უბნის უფროსი. 1990-91 წლებში 134-ე
 მოძრა-მექანიზებულ კოლონაში მთავა-



დუმელები აქეთ და ამ საქმის ოსტატთან
 დავესწე მუშაობა. რადგან სამშენებლო
 საქმე გამოჩნდა, ვაჭრობა გვერდზე გადა-
 ვიდე. ლუმელის კეთება არ ვიცოდი და იმ
 კაცს ყურადღებით ვაკვირდებოდი. მან მე
 წიგნი მანუქა, სადაც აღწერილია, თუ რო-
 გორ უნდა ავაშენოთ საკუთარი ხელებით
 ყველაფერი, რაც აგურისგან კეთდება. ჩა-

აღიარება

საინტერესო და სასიამოვნო ინფორმაცია შევიტყვეთ ამ დღეებში.
 ჩვენი გაზეთის დიდი ხნის მეგობარი, მრავალმხრივი ნიჭით მიორცხებუ-
 ლი ლეაწლმოსილი ჰედაგოვი, პოეტი ბატონი ვალერიანე თევზაძე ფაზისის
 სამეცნიერო აკადემიის 2016 წლის საერთო კრების გადაწყვეტილებით, არჩ-
 ეულია აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

გულოცავთ ბატონ ვალერიანეს კიდევ ერთ აღიარებას და წარმატებებს
 ვუსურვებთ ჰედაგოვიურ მოღვაწეობასა და სამეცნიერო სარბიულზე.

ლევან ბაბიაშვილი



გილოცავთ, ბატონო გენერალო!

ვინ მოთვლის იმ კეთილ საქმეებს მშობლიურ სოფელსა და რაიონს რომ გაუკეთა
 საინჟინერო და ეროვნული აკადემიების წევრმა, თადარიგის გენერალმა, ჩვენმა სახელ-
 ოვანმა თანამემამულემ, ბატონმა გიორგი ხაზარაძემ.

თითქმის 20 წელია, ბატონი გიორგის სახელი მჭიდროდა დაკავშირებული გაზეთ-
 თან, რომელიც მასზე მხოლოდ რამდენიმე წლითაა უმცროსი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენებისას, როცა ქვეყნის ეკონო-
 მიკა მოიშალა, ჩვენი უფროსი კოლეგის, იმხანად რედაქციის ეკონომიკის განყოფილე-
 ბის გამგის, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძის თხოვნით, ბატონმა გიორგიმ, რომელიც ქველ-
 მოქმედებითაც გახლავთ ცნობილი, გაზეთსა და რედაქციას დახმარება აღმოუჩინა.

ეს არ იყო ერთჯერადი აქტი.
 შეფობა აიღო ბატონმა გიორგიმ გაზეთზე და წლების, დიას, წლების მანძილზე
 განაგრძობდა გაზეთისა და რედაქციის თანამშრომელთა არა მარტო დაფინანსებას,
 წახალისებასაც კი, რაც დაუვიწყარია, უსომოდ დასაფასებელია.

ის, რომ დღეს გაზეთი არსებობს, კეთილი ადამიანების დიდი დამსახურებაა (არავის
 არაფერს დაუკარგავთ), მაგრამ ლომის წილი ამ საქმეში სწორედ ბატონ გიორგის
 მიუძღვის.

ამ დღეებში ბატონი გიორგი ხაზარაძე იუბილარია.
 ხანგრძლივი სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო გენერალო!

ლევან ბაბიაშვილი

პროტი ოცნების ტყუისცალი

(ტიციან ტაბიძე)

დასასრული.

დასაწყისი №11, №12.

ტიციანის ტაბიძის რიანდული, ვაჟაკური სულისკვეთება, მისი შემართება, პოეტური ენერჯია, მოხლევაკული ტემპერამენტი და გრძობა ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელი უშუალოდ და ბუნებრივად, გულწრფელობით, სიტყვის ლაზთიანობით არაერთ მის ლექსში აისახა. ზოგჯერ ის მორცხვად, თავმდაბლურად გვიცხადებს:

“ამხანაგო და ძმაო მკითხველო, რომ ჩემზე უფრო გსურდეს მოსმენა.

ჩემი ლექსების – მე აღარ მწამს, მაშ, იქონიე ცოტა მოთქმენა...”

მაგრამ, იქვე ფრიად დამაჯერებლად დასძენს:

“მჯერა, გულშიაც გამკრავს წელსკაცი და ლექსი თვითონ ამოდუნდება,

ხოლო რომ აწვალეს რძეგამშრალ ძროხას, პოეტს და მკითხველს ეს არ უხდება!”

1933 წელს.

ვახდენ პერიფრაზირებას მუხრან მაჭავარიანის სიტყვებისას – როცა პირველად ტიციან ტაბიძის ლექსები წავეითებე, ისეთი აღმური მეცა სახეში, თითქოსდა გახურებულ თონებში ჩამებეღოსო.

“უცილო სწანს ის ფაქტი, რომ “ცისფერყანწელებმა” მყარი, გარკვეული მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დამყარებული სკოლის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს, ხოლო რიგ შემთხვევაში მათივე შემოქმედებითი ნიმუშები პირველ ხანებში მაინც აშკარად ცოდავენ ეკლექტიზმით და ოდნე მიბადებს დონეზე რჩებიან... მერეხელობა იქნებოდა ლექსის მოდერნიზაციისა და შესაძლებლობათა უმაგალითოდ გაფართოების გზაზე” “ცისფერყანწელთა” ღვაწლის იგნორირება” (ს. ცაიშვილი, “წინამორბედნი და თანამედროვენი”. გამომც.: “მეცნიერება”, 1986, თბ. გვ. 90).

ტიციან ტაბიძემ როდელი შემოქმედებითი გზა განვლია, მისი ცხოვრება და შემოქმედება სავსე იყო წინააღმდეგობებით. ის გულწრფელად აღიარებს, რომ გარკვეული ხარკი გადაუხადა სიმბოლოებს. არ შეიძლება არ ვირწმუნოთ მისი ეს გულწრფელი აღსარება ლექსად:

“ნუ გაივიწყლებ, როცა გეტყვიან, რომ ჩემად არის ახლა ტიციან, პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყევა, ამის შესახებ მათ არ იციან. რა საჭიროა აქ პირფერობა, მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს “დადა”, მტანჯველი იყო ეს გაორება, მონანიება კი არის სადა”.

“დადანიში” – (ფრანგ. სათამაშო ცხენი), გადატანილი მნიშვნელობით უპრო ბავშვური ტიტინი. დეკადენტური, ფორმალისტური მიმდინარეობა ლიტერატურაში, მხატვრობაში. გაჩნდა და გაფორმდა პირველი იმპერიალიზმის ომის წლებში (1916 წლიდან), სამშობლოა შვეიცარია, გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთში, გერმანია და სხვა. სიკვდილის მოლოდინით დამფრთხალნი სხვა პოეზიებზე გამოსავალს, ვერ ამყლავნებენ სოციალურ სინამდვილესთან შეგუების უნარს, ამიტომაც, სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს გაქცევა ცხოვრებიდან, დაეწყება სინამდვილისა. ისინი მიიჩნევენ, რომ იდეას, შინაარსს არაფერი კავშირი არ აქვს ხელოვნებასთან. პოეტური სიტყვის გასაფორმებლად დადისტები ეძებენ უპრო ნეოლოგიზმს. ეს უკიდურესი ფორმალისტური მიმდინარეობა დაიშალა 1920-იანი წლების დასაწყისში, დადაისტების ნაწილი გადადის ციურერეალიზმში, ნაწილი კი ხარკს უხდის ექსპრესიონალიზმს”.

როცა ტიციან ტაბიძის ლექსებს ვკითხულობთ აშკარად ვგრძობთ უსახლოვრო შესაძლებლობებს პოეზიისას, მანამდე აღმოუჩენელი, უხილავი სივრცეების დაუფლები დაუფლებელ წყურვილს. ძალხედ მრავალმხრივია და მრავალფეროვანი მისი პოეტური პალიტრა. მან გალატონთან ერთად სახეობრივი აზროვნების უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. ქართული ლექსის “ვეროპული კულტურის რადიუსზე” გამართვამი საერთოდ “ცისფერყანწელების” დამსახურებაც საკმაოდ დიდია.

“სამშობლოს თავდადებული სიყვარული მის პოეზიას მაინც ვეღვანე ღრმა ხეულად გასდევს. საქართველო და სიცოცხლე, საქართველო და პოეზია, აი, მისი შემოქმედების ღელაპირი” (დემნა შენგელაია).

ბოლო დროს ტიციანი ძალიან ბევრს მოგზაურობდა შავიზღვისპირეთის სუბტროპიკულ ზონაში, ბევრი იმოგზაურა საბჭოთა კავშირშიც: მოსკოვში, ლენინგრადში, ბელორუსიაში, უკრაინაში, სომხეთში, ჩრდ. კავკასიაში, შუა აზიაში,

ეცნობოდა სოციალისტურ მშენებლობას, ახალ ხალხებს, მათ შორის პოეტებსაც.

ასე მომხადლა წიგნი “სამშობლო” (1936 წ.) დიდ საბჭოთა კავშირზე. ლექსი “სამშობლო” დიდებული ჰიმნი მშობლიური მიწა-წყლის, სოციალიზმის აღმშენებლობის, მშობელი ხალხის. მოგვაქვს ამონარიდები ამ შესანიშნავი ნაწარმოებდან:

“შთაც ლამაზი გვაქვს, ბარიც ლამაზი, დიდხანს გადარეს მგონებმა ედემს,

გახედავ და თვალს აბრმავეებს ვაზი, გახედავ, თვალი ვერ ატანს ქედებს,

ღამეა, თეთრი ირმის ნაწველი, დღე შეინდი-სფერი ვარაყიანი,

ჩერქეზის ქალებს უჭირავთ ცელი, სუქლები მიწა ბარაქიანი.

ანბანის ქებას ვინ დაქადაბებს, დღეს უანბანო არავინ არი,

ასე მოადგა აჭარის ქედებს ჩაის ლაფვარდის ცის ქარავანი.

ასე მოადგა ლაგოდეხის ველს, კამქიანი ირმების ურდო.

რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს, თუნდ რუსთველის ლექსი გაქურდო.

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცის უფრო მტანჯველის რომ ვიყო მთელელი,

ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოცი, ვარ ვრმა უცადი და პირტიკველი.

ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება, ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი,

არ უნდა კვესით გულის ამღერება, ცეცხლში უდებლად იყვის აბელი!”

ტიციან ტაბიძემ უბრწყინვალესი პოეზიის გარდა, შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებები, შესანიშნავი ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები დაგვიტოვა სახელოვან თეატრალურ მოღვაწეობაში – კოტე მარჯანიშვილზე, ალექსანდრე სუმბაიაშვილზე, ზაქარია ფალიაშვილზე, ნატო ვაჩნაძეზე... სასიქადლო მხატვარ ნეო ფიროსმანზე და მოქანდაკე აკობ ნიკოლაძეზე. ძალხედ საინტერესოა მისი წერილები ვლადიმერ მაიაკოვსკიზე, ანდრე ბელიზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე, საიათნოვაზე, ოვანეს თუმანიანიზე, ალექსანდრე გრიბოედოზე, ვასილ ბარნოვზე, შოი არავკისპირულზე... ამ ნარკვევებსა და წერილებში კარგად ჩანს მისი ღრმა განსწავლულობა, ფართო დიაპაზონი, პოინტიზმი.

ტიციანი მრავალმხრივ იყო დანიტურესებულ ვაჟა-ფშაველათი. “იგი თავისი პოეზიის შინაგანი ბუნებით აშკარად ბევრ რამეში ენათესავებოდა ვაჟა-ფშაველას... აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტური გამოქმედების სისადავე და ის დიდი უშუალოა, რაც ორივე პოეტმა თავისი შემოქმედების ძირითად პოეტურ ხერხებად აქცია” (ს. ცაიშვილი, “წინამორბედნი და თანამედროვენი”. გვ. 143).

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბუნების განცდა ტიციანის შემოქმედებაში, მისი პიონაჟური ლირიკა. 1927 წელსაა დაწერილი ბრწყინვალე შედევრი “ამოდის, ნათდება”:

“ამომავალ მზის ოქროს ნათელი, თავზე ადგება საქართველოს მიუბს და ნამქერებში დამუნათევი მთვარე ანათებს და არც ანათებს.

ზევით ღრიალით მიგორავს თურგი, ქვევით გრიალი გაუდის არაგვს,

მზეს გაუდენია ყინულის ქერქი, მთა დაუფშენია უხილავ წერაქვს,

ქარს მაქვს თოვლი და მიიხვეტავს, გადააფარებს ყაზბეგს შინდებდა,

შერცხვებს ვაჟაკი, თუ ამ მზეს ხედავს და სიკვდილს კიდევ შეუშინდება,

მივჩერებვარ ცას გაკვირვებით და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა,

ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით, ხიმიკაურის გული ჩამედა”.

არაერთ მწერალს, კრიტიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს აღუნიშნავს და მეც დაბეჯითებით ვიმორებ: ტიციან ტაბიძე ექსტრადინალიური, უადრესად ექსტრავაგანტური ხმის პოეტი, ის თავის ლექსში გაუბნის შედარების გამოძახატელო მეტყველების ნაწილების გამოყენებას, რაც განსაკუთრებულ ელფერს მატებს მის ლექსებს. მაგალითისთვის მინდა შეგახსენოთ რამდენიმე ნიმუში:

“დაბადებიდან სიმღერა გვახლავს, კამქს რომ ზურგზე აუწვავს ბალანს.”

“ვარ გაუღილი ღერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ ივცინება.”

“გაჩენილი ვარ ქვეშე კალმახი და ახეული მაქვს ლაყურები.”

“ხარ დანგრეული შენ “მოდინახე”, ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.”

“ვარ ავსებული შენი გულამდე და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა.”

“თვალებს ცრემლებად ვეღარ გავწვდებ, რომ იყოს თურგი ორი ამღენი.”

“ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი?! საიათნოვას შიგ საფლავში გავუტეხო ფიცარი”.

თვითგამოხატვის ასეთი ხერხებითა და საშუალებებით, ტიციან ტაბიძემ შექმნა პოეზიის ფრიად მომჯადოებელი სამყარო, ვეღვასგან განსხვავებული პოეტური ხელწერით, წინ ტროპიკული აზროვნების უხილავი სივრცეები გადაგვიშალა.

არ იქნება ურიგო, მკითხველს გავაცნო მურმან ლებანიძის ლექსი მიძღვნილი ტიციანისადმი:

“მე შენი ლექსი ბროწეულის ყვავილს მაგონებს,

თუ შეიძლება რომ ყვავილი ნეკვერჩხლის იყოს,

გამწვევი ხარის ვენაცვალე ქელს და ძალლონეს,

წინაცვალე შენს მშანთავ სტრიქონს.

წმინდა გიორგის სამშობლოში ბევრი აღონებს –

გადახვევია ჩვენი ვაზი დღეს უცხო ჭიგოს, მაგრამ მოგებნის, გამოგარჩევს, არ დააყოვნებს,

დაგახატავს მეგ შუბლზე ნიკორს.

შენი ცისფერი და მზისფერი ორდენის ღირსი

კიდევ არიან პოეტები, გაძღებენ ჭირში, არ ჩამძვრალან ჯერ სამალაუში.

დამაძე მკერდზე მოწყალეების ყვავილი – შანთი,

რომ ამიშინდეს ხორცი ჩემი, წამიძებ სანთლით

და ჩამრიცხე შენს ამალაში”.

1937 წელს პაოლო იაშვილი აიძულეს თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. ტიციანის დაავალეს ეთქვა, რომ მეგობრობდა კაცთან, ვინც ხალხის მტერი და მოალაბე იყო. “საამის ტყუისთვის” სიცოცხლეში არ უღალატნია და მკვდარს როგორ უღალატებდა? ის ვაჟაკურად შეეგება სიკვდილს, ეს იყო მართლა გაფრთხილება ვეღა რაინდული სულის პოეტისა. მის რაინდობაზე ღაღადებს პოეტ ზაურ ბოლქვაძის ეს სტრიქონები;

“როცა მძლავრ ცეცხლად ენთ მეღექსე, მაშინ დაფარავს არყოფნის ნისლით, მაგრამ ქართულ მზეს ვერ ჩამორეცხვს სახელი შენი შენივე სისხლით.

.....

იმ მიხაკივით კვლავ გულზე გშენის ბეჭედი შენი მეწვერი სიტყვის... და დღეს აფრთხილებს სიკვდილი შენი ვეღა ვაჟაკი პოეტის სიკვდილს”.

(ზ. ბოლქვაძე)

რაოდენ დასანანი, რომ ტიციან ტაბიძე თავისი შემოქმედებითი ნიჭის აყვავებისა და გაფურჩქნის ასაკში წავიდა ამ ცხოვრებიდან. წინათგრძობა ფატალური უტყუარობით აუხდა. მას, მართლაც არ აცალეს შთაგონების დაეგაკცება. მეგობარი პოეტისადმი – ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილი ლექსში “ილაალი” გვხვდება ერთი ასეთი პასაჟი:

“ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალღამით და არ გვაცალა შთაგონების დაეგაკცება?!” ავიღოთ 1922 წელს დაწერილი ლექსი “წინა მაყმილის” (ტიციანის მეუღლე – ა. თ.), აქაც სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს თავზე მის წარმოსახვას:

“მეღი ორდენი თავისმკვლელობა: ილო, ზენონი,

ჩვენი ორდენი, პოეტების, შხამის ყანწებით. თავისმკვლელობის თავზე დაეგფერის იგივე დემინი:

მე ვხედავ იმ მორგს, მოწამლული სადაც დაეწვებით.

ღმერთს, პოეზიას, შენს სიყვარულს მე დაეაფიცე:

წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!” (1922).

ავის მომასწავებელი წინათგრძობა მსჭვალავს მის შვილისადმი მიძღვნილ ლექსსაც:

“მე ასე გიწერ, შვილო, ორ აპრილს, არ ვიცი – კიდევ რამდენი დამრჩა”.

(1926).

“ცისფერყანწელთა” ორდენის ერთ-ერთი ლირიკი ტიციან ტაბიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა: ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, განუთ “ზარეადის” რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად (1921), საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სა-



ბჭოს მდივანად (1930-1932).

დილია ტ. ტაბიძის დამსახურება საბჭოთა მწერლობის წინაშე, ის იყო ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის უბადლო მომღერალი, ამ ხალხებს შორის სიყვარულის გზად და ხილად გადებული.

შემადრწუნებელი და გამოცხადებულია ტიციანის ასეთი საბრალდებო დასკვნის წაყითხვა:

1. იყო ნაციონალ-ფაშისტური კონტრეკოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი.

2. ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

3. იყო საფრანგეთის ჯაშუში საბჭოთა კავშირში.

4. ბრალი ედება 58/6, 58/7 და 58/11 მუხლებით და ბოლოს დასკვნის სახით სწვრია: დანაშაული ნაწილობრივ აღიარა – ბოროტება უფრო შორს ვერ წავა, ვეღა ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვება, ვის სინდისსაც შერჩა პოეტის ცოლვა ლაქებად.

“სამეულმა 1937 წლის 15 დეკემბერს ტ. ტაბიძის დახვერტა დაადგინა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

1954 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე გამოცხადდა ტ. ტაბიძის რეაბილიტაცია – ამ წლის 26 ივნისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გააუქმა საქართველოს სსრ შინაგარეო საზღვრო სამეულის 1937. 15. XII დადგენილება.

1956 წლის 6 ივნისს სსრკ მწერალთა კავშირის გამგებობის სამდივნომ (ოქმი № 16) ტიციან ტაბიძე დადგინა მწერალთა კავშირის წევრის უფლებებში სტაჟით 1934 წლიდან”. (რ. კვერენჩხილაძე, “წამების გზა”, წიგნი I, თბ. 2014 წ. გვ. 390-391).

მთელი 20 წლის განმავლობაში ტაბუდადებული იყო ტიციანის შემოქმედება, მაგრამ ბოლომდე მივიწყებას არ მისცემია მისი სახელი. კონსპირაციულად მაინც ახერხებდნენ მისი ნაწარმოებების გაცნობას.

პოეტის რეაბილიტაციის შემდეგ გამოიცა: “ლექსები” (1955), “წერილები და ნარკვევები” (1957), ხოლო 1960 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის ძველი მუშაკის – შალვა დემეტრაძის, “ცისფერყანწელთა” მეგობრის მიერ შედგენილი “რჩეული” და პირველი სამტომეული (1966), შემდგომში ტიციანის მრავალი ახალი გამოცემაც შეემატა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს.

უსაფლავოდ დარჩენილმა პოეტმა სამუდამო განსასვენებელი მშობელი ხალხის გულში ჰპოვა. მას ღრმად სწამდა, რომ “საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული”. ფაშთა წიადიდან თითქოსდა დღესაც ჩავვხვდებით ტიციანის ვაჟაკურ, ომახიანი ხმა;

“სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლულიც ვარ სამჯერა,

ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილი არ მჯერა!”

ზოგიერთმა უღირსმა ქართველმა, სხვა ჯურისა და გვარ-ტომის ვეღააჟა, გაუნათლებელმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც მაშინ თანამედრობები ეკავათ და ხელი ძალაუფლება ეყრათ, უწყალოდ გასწირეს ტიციან ტაბიძე, მაგრამ, საბედნიეროდ, ღირსეულმა ქართველმა ხალხმა თავის გულსა და ხსენებაში გამოჩენილი ადგილი მიუჩინა მას, როგორც დიდ მამულიშვილსა და შემოქმედს. მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი პოეტის სიტყვების გულწრფელობაში:

“... საბჭოთა მიწა და წყალი ვერ ნახავს პოეტს ჩემს უერთოეულებს!”

ტიციან ტაბიძის სახელი, მისი უტყურობი პოეზია მარად იცოცხლებს საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ერთად, რამეთუ:

“ხალხის ოცნება პოეზიას აღუდგენია და პოეზიაც უკვდავებას ხალხით აპირებს”.

(ტ. ტაბიძე).

აკაპი თხზვანი
კრიტიკული ტაბიძის
კრებლის წარმართა

ჩაც ახ იხნავცებოდა, იცოდა...

ამ რამდენიმე სიტყვით შეაფასა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა, მრავალი პოეტური კრებულის ავტორმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, ბატონმა ნოდარ ადგიშვილმა ქვეყნიდან ნაადრევად წასული ახალგაზრდა კაცის კახა თევზაძის პიროვნება.

ლექსებს წერდა, კახა...
ციცქა, ლამაზ ლექსებს.
ჩვენმა ბულალტერმა შორენა სარქისოვა უმეგზურა თავდაპირველად რედაქციაში. მორბალებით გადმოგვცა ციცქა ლექსები, საოცარი, მისეული სეკდა რომ ივითებოდა თითოეულში.

არცთუ იშვიათად შემოვივლიდა მას შემდეგ და ჩვენც საიმონებით ვუთმობდით ადგილს ახალგაზრდა კაცის ნაფიქრალ-ნაზრევს.

ოთხი წელი გაგრძელდა გაზეთთან კახას ურთიერთობა.

ოჯახთან, ახლობლებთან ერთად ჩვენც უზომოდ განვიცადეთ მისი ლამაზი, მშფოთვარე სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ძალა ეყოთ შვილმკვდარ მშობლებს და კახას შემდეგაც გააგრძელეს ჩვენთან ურთიერთობა...

წერილი გამოვაქვეყნე ამას წინათ გაზეთში სათაურით "რამდენი წასულან". კახა თევზაძის გვარ-სახელი გამომჩრა რატომღაც მათში, ვინც დიდი ხანია დატოვა ცოდვებით დამძიმებული დედამიწა.

ამ ციცქა წერილით მინდა შეცდომა გამოვასწორო.

არა, არ დამევიწყებინარ კახა, უბრალოდ...
ნათელში იყავი!

ლევან ბაგრაძე

კლასიკოსი - მარალ ჩვენი თანამედროვე

ჩვენი უბედურება ამჟამადაც კვია: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი.

მუდამ ბიზანტიელებს ვგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულები აზნაურები და ღირსშესანიშნავი ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს...

თუ მთელმა ერმა გაშარჯება არ მოინდობა, მაკადონელიც ბრძანებდა დიდი ერისკაცი კონსტანტინე გამსახურდია.

ასი წლის წინ, 1917 წლის 11 აპრილს კონსტანტინე გამსახურდიამ გაზეთ "სახალხო ფურცელში" დაბეჭდა წერილი "გაორებული საქართველო" ამონარიდები გამოგვადგეს დღეს მკითხველთა წინაშე ამ წერილიდან, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და გასათვალისწინებელიცაა თითოეული ჩვენგანისათვის.

"... უბედულო მაგალითები ახსოვს ჩვენს მატთანეს გაორების, ერის ენერჯის გათიშვის ისტორიიდან, აბა, მიბრძანეთ სად, რომელი ერის ისტორიაში იპოვით იმდენ მოღალატეთ, თავისივე მშობელ ერის ინტერესების ფეხქვეშ გამოთელვებნი, როგორც ჩვენში" ასეთი ისტორიული მტრები ქართველებსა ისევ ქართველები გახლდათ, ოსმალობისა და სპარსელების დამსჯელ ექსპედიციებს წინ რომ უბლოდნენ..."

"...სად, რომელ ქვეყანაში გსმენიათ, რომ ამა თუ იმ ერის ერთი ნაწილი ისტორიულად გაკვიდეს: "თავისუფლება არ გვინდაო?!" ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენში აქვს ადგილი..."

"... დღეს მსოფლიო ერთა ცხოვრების მოედანზე მხოლოდ ის-ღა გაიტანს ლელოს, ვინც თავისი უფლების დაცვაში მტრ ძალასა და უნარს გაიღებს ერის სასიცოცხლო ენერჯიდან..."

ფასდაუდებელი წვლილი კონსტანტინე გამსახურდიამ რომ შეიტანა ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის განვითარების საქმეში. ძნელია სიღრმისეულად წაიფიქრო კონსტანტინესეული მარგალიტები და წუთით მაინც არ გახდა ნაწილი, თანამედროვე დიდი ერისკაცის მშფოთვარე, მბორგავი სულისა.

აბაშაში, უპრეტენზიო ციცქა მდინარე ზანას ნაპირებთან გაზრდილმა ბიჭმა სიცოცხლის ბოლომდე მდგრად უჭირისუფლა ერსა და ქვეყანას. დღეს კი, დღეს, როცა იგი ამქვეყნად აღარაა, მისი ნაზრევი გვმოდგერავს და არ გვაძლევს უფლებას ჩვენი ერის შეცდომებზე არ ვისწავლოთ, არ გავფხინდეთ, არ გავძლიერდეთ.

15 მაისს კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღეა.

ლევან ბაგრაძე



რა გვემართება?

ბოლო დროს რომ ჩვენს ქალაქს სასიკეთოდ დაეტყო ხელი, ცხადია. სამწუხარო და ამხარზენია ჩვენივე თანაქალაქელების საქციელი, რომლებიც ლელებში, წყალსარეულ არხებში ჰყრიან საოჯახო ანარჩენებს, საყოფაცხოვრებო ნაგავს.

არის შემთხვევები, როცა ნაგავს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან პირდაპირ ქუჩაში ჰყრიან, აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

როდის უნდა მივიღეს ჩვენი საზოგადოება იმ დასკვნამდე, რომ ირგვლივ ყველაფერი ყველასია?

ჩემი აზრით (სამწუხაროდ), თავდაპირველად, ბევრის შეგნება დასასუფთავებელი.

შენი ურთავი

პრადონი

ბრაზილია კვლავ პირველია

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ - ფიფამ "კოკა-კოლასთან" ერთად გამოაქვეყნა ტრადიციული მორიგი თვის მსოფლიოს სანაკრებო რეიტინგი.

სარეიტინგო პირველობას 1672 ქულით კვლავ ლიდერობს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გუნდი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ფეხბურთში ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. ხოლო მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე არიან არგენტინისა (1603 ქული) და გერმანიის (1464 ქული) ფეხბურთელთა ეროვნული გუნდები. საქართველოს ეროვნული ნაკრები კვლავ 122-ე ადგილზეა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილე საქართველოს ნაკრების მეტოქეებიდან ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი მოპოვებული აქვს უელსის ნაკრებს რომელიც 1119 ქულით მე-13 ადგილზეა, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი მოპოვებული აქვს უკრაინის ნაკრებს რომელსაც 761 ქულით 37-ე ადგილი უკავია.

ევროპის ლიგა

24 მაისს - შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართება უეფას ევროპის ლიგის (თასის) ფინალური მატჩი ფეხბურთში ამსტერდამის "აიაქსისა" (ჰოლანდია) და მანჩესტერის "მანჩესტერ იუნაიტედის" (ინგლისის) გუნდებს შორის.

იურან ნიკოლეიშვილი



ჯუმბურ ჩხაიძის ბასეძნება

ერთი სევედიანი წელი გავიდა უშინოდ. 11 მაისი შენი გარდაცვალების დღეა, წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მონატრება. შეუერთდი შენს საყვარელ მშობლებს, რომლებიც განსაკუთრებით გიყვარდა. როგორ გვინდოდა ყოფილიყავი ჩვენთან ერთად, გაგებარებინა შენს ოჯახთან, შვილებთან, მონატრებულ შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან, დედამიწეილთა და ახლად შექმნილ რძალთან, მაიასთან, რომელმაც დიდი სიხარული და სიყვარული შემოიტანა ჩვენს ოჯახში. მადლობა ღმერთს, რომ შენ ამ ბედნიერებას მოეწვარი. შენ იყავი ოჯახის დიდი ბურჯი, იმედი, რომელიც ძლიერ დაგვაკლდა ყველას. შენს სახელს არასოდეს უწერია დაგვიწყება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

ლევან ბაგრაძე

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ქეთევან პაპავას და ჯონი ჯოჯუას სიძისა და ქვისლის, ბატონი

თამაზ ღუნღუას

გარდაცვალების გამო.

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ მედეა პაპავას მეუღლის

თიმიზრაზ (თამაზ) ღუნღუას

გარდაცვალების გამო.

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქეთევან პაპავასა და ჯონი ჯოჯუას ბატონი

თიმიზრაზ (თამაზ) ღუნღუას

გარდაცვალების გამო.

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლელა და მალხაზ მირცხულაეებს დედისა და სიდდერის, ქალბატონ

ნინო სანაია-ანჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

დიდი აზიციებით იქ, მოაკვალში!

თქვენი ბავშვებისთვის

საქართველოში, სადაც ყოველ დღით იმდენი პრეზიდენტი იღვიძებს, რამდენი ქართველიც ცხოვრობს, პოლიტიკა ყველგანაა, ოჯახში, ქუჩაში, ბიროსა, სამუშაო-ოთახში, სიმღერაში, პოეზიაში, თეატრში... დარჩა კიდევ რამე? რაც დარჩა, იქაც პოლიტიკაა! ერთ დროს აკვიატებული სამედიცინო უსწვე წარსულია, ახლა პოლიტიკოსობა ყველაზე პრესტიჟული და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე სარფიანი პროფესიაა ქართველისთვის. რამდენად მოსარგებია მისი პრესტიჟი ქართული ხასიათისთვის, აქ ნუ ვისაუბრებთ, იმიტომ, რომ პოლიტიკით დაინტერესებულთა ახალი თაობა უნდა გაგაცნოთ, ისინი, ვინც მისი შესწავლით, იმედაა, არა პრესტიჟის, არამედ ქვეყნის ძლიერი პოლიტიკური მომავლის სურვილით დაკავდნენ.

რამდენიმე დღის წინ სამტრედიამ დედაქალაქიდან ახალგაზრდები ჩამოვიდნენ სტუმრად. როგორც ახლა ყველა კუთხეში გაიგონებ, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი ჩამოიტანეს, დედაქალაქისა და ზოგადად დიდი ქალაქების პარალელურად, რაიონებსა და პერიფერიებში პროგრესულად მოაზროვნე მომავალი პოლიტიკოსების გამოვლენას რომ ცდილობს.

არც მეტი, არც ნაკლები, სამტრედიამ საქართველოს ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმ 2017-ს უმასპინძლა. ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაციის ძალისხმევით, გასულ წელს იგი წარმატებით ჩატარდა. ამან სტიმული მისცა ორგანიზატორებს, რაიონებითაც დაინტერესებულნიყვნენ. დედაქალაქის შემდეგ პირველი მასპინძელი ქალაქი ამ პროექტისა, რომლის ეგიდით მოწოდებდა ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაციის ფორუმზე საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხები განიხილება, სამტრედეა.

ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაცია "ალეა", 2011 წლიდან მოღვაწეობს ქართულ სივრცეში. 2015 წლიდან იგი საგანმანათლებლო პროექტებითაც დაინტერესდა. ორგანიზაცია ძირითადად ქართველი ახალგაზრდების ნატო, გაერო, ევროკავშირით დაინტერესებასა და უკეთ გაცნობაზე მუშაობს. ამჯერად სამდღიანი შეხვედრა გაიმართა. პირველი ორი დღის განმავლობაში, საგანმანათლებლო, რელიგიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კომიტეტებში განიხილებოდა სამტრედიელი ახალგაზრდების მიერ წარდგენილი თემები. ფორუმზე საუკეთესოები გამოიტანეს და რეზოლუცია დაადეს მათ შესაბამის სტრუქტურებთან წარსაღვენად. არ არის გამორიცხული, საუკეთესო ინიციატივები საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო მუშაობისას იქნეს გათვალისწინებული. "ამჯერად გამოვლინდება ორი საუკეთესო ნამუშევარი, რომელთაც დაეძვება რეზოლუცია და არ არის გამორიცხული, პროექტის დასასრულს, ბაქოში გამართულ ფორუმზე, რომელსაც ალიეების ოჯახი უმასპინძლებს, ეს სამტრედიელი ახალგაზრდებიც მოხვდნენ." – ამბობს ახალგაზრდა ლიდერთა ეროვნული ასოციაციის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის "ალმა მატერი" პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, კოკა ჯახუტაშვილი.



"ფორუმზე განიხილება ის საკითხები, რაც მტკივნეულად დგას თანამედროვე მსოფლიოში." – აკონკრეტებს საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტის დირექტორი, ბაჩო ხუროშვილი. იგი ამ შემთხვევაში იმ ორგანიზაციის პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც პროექტს ახორციელებს და განათლების კომიტეტის ხელმძღვანელის სტატუსი აქვს.

ახალგაზრდა ლიდერების ეროვნული ასოციაციის მთავარი ორგანიზატორი, თბილისის 142-ე საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ლერი ფაილაძე სამტრედიელი ახალგაზრდების ერუდიციასა და საკითხებისადმი ღრმა ცოდნაზე აკეთებს აქცენტს: "ერთხმად აღვნიშნეთ, რომ აღფრთოვანებულები და გაკვირვებულებიც კი დაერჩით სამტრედიელი ახალგაზრდების მომზადების დონით. აქ მართლაც კარგი ბაზაა.

სამტრედიის №1; 3; 4; 6; 10; 11; 12 საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლა "ცოდნას" მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევრები წარადგინეს ფორუმზე. დასახელებული გამორჩეული დედეგატები – ქეთი მხეიძე სკოლა "ცოდნა"-დან, სესილი გოგიბერიძე და ხატია სიხარულიძე მეათე საჯარო სკოლიდან, თამუნა ჯინჭველეიშვილი მეოთხე, გიორგი შანიძე კი მეთორმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. მათ შორის ორი საუკეთესოები მეთერთმეტე სკოლელი მარიამ ბარბაქაძე და პირველი საჯაროდან მარიამ მანჯგალაძე არიან.

ამბიციები, დაახვაც, დიდი აქვს თობას, დიდი ამბიციებით მიმავალს იქ, მომავალში! და ეს ყველაფერზე ეტყობათ, საუბრის ტონზე, მანერაზე, ტიტულებსა და დაკავებულ "თანამდებობებზე".

ახალგაზრდა სამტრედიელი ლიდერები ეროვნული ასოციაციის ფორუმმა ამჯერად პირველად გამოავლინა და საუმაოდ წარმატებული დებიუტით. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია.



ასი წლისა და იქნებით ბებუნი, გუნი შეხიხით ოლონდ უბუხუნი

არასოდეს მჯდარა გორგოლაჭებთან სკამზე. არასოდეს დასჭირვებია თავის მართლება – მე ამ პარტიას ვეკუთვნი და არა იმასო.

იგი იმ დმერთის მსახურია, მეგობრობა, ერთგულება, თანადგომა, მიტევება, სიყვარული რომ ჰქვია.

დიდი ხნის წინ გაეცანი, მაშინ, როცა თავად განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი იყო და დაუხარებლად გვემსახურებოდა ახალბედა პედაგოგებს.

ერთადაც ვიმუშავეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში წლების მანძილზე. საამოვნებით ვიგონებთ იმ დროს.

ვენერა დედა ვინ იცის, რამდენი წელია, საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. ხარობს შეილებით, შეილიშვილებითა და შეილითაშვილებით. უჭირს ვინმეს? უსათუოდ ნახავთ იქ ვენერა პაპავას.

უღბნის? აქაც პირველია და ეჭვშეუვლად გამოხატავს სიხარულს.

უყვარს ყველა.

უყვარს ყველას.

არის რაიმე ამაზე დიდი ბედნიერება?

(არ მჯერა) დადის ხმები 80 წლისა გახდაო.

პირველმა მე ვერ მივულოცე, დაგვასწრეს ღირსეულმა ცოლ-ქმარმა ნათელა და ვაჟა ტერელაძეებმა...

გილოცავ(თ) ჩვენი ვენერა დედა სახელოვან იუბილეს, დიდხანს, დიდხანს, დიდხანს იცოცხლე.

წლებმა არ შეგაშინოს, 80 წელი რას მიქვია.

შეგახსენებთ: ასი წლისაც არ იქნები ბებერი, გული შეგერჩეს ოლონდ უბუხუნი.

გილოცავ!

ლევან ბაპავას

მინორა პაპავას!



ჩვენი უბერებელი ქალბატონო "ვიკა", დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას. ძალიან დიდი ნიჭია, რაც თქვენ გაგაჩნიათ, ყველას მიმართ თანადგომა, სტიმულის მიცემა.

თეთრი შურით ბევრს შურს თქვენი ასეთი შემართება და ენერჯია, ამიტომაც გაფასებენ და თქვენ სახელს სიყვარულით მოიხსენიებენ – "ჩვენი ვენერა დედა". გისურვებთ დიდხანს გვეყვოდეს!

ლოდე ხალისიანი თქვენი საყვარელი დიდი ოჯახით, თქვენი კობტაობითა და უბერებელი სულით!

"სახლი თანადგომა"

კულოცავთ!

ბატონებს: დავით ბახტაძეს, ლევან ანონაძეს და სანა ლეშავას! კულოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს ვუსურვებთ, უფალი გმფარველობდეთ!

მეგობრების რაიონული კავშირი

მალბატონ მინა ჩიხლაძეს! დაბადების დღეს გილოცავთ ღვაწლმოსილ მსახიობს. იხარეთ და იდღეგრძელოთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

მუნიციპალიტეტის აბოლოითხას "სახლრეაქციის გაცნა"



კულოცავთ ქალბატონ გულიკო გოგიბერიძეს დაბადების დღეს, ასევე კულოცავთ ამქვეყნად მისი მეორე შეილიშვილის, ლილი ჩაბრაძის მოვლინებას. გვეჯერა, სასახელო ქართველი აღიზრდება პატარა ღილე!

"სახლრეაქციის გაცნა"

რედაქციის მისამართი:
 სამტრედიის რაიონული კავშირი, მ. №6
 ტელ: 790 391839

მაცნე
 სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგიბერიძე
 მთავარი რედაქტორი ქეთიშვილი ჯემალე
 გამომშვები რედაქტორი თამარ ბაბუნაშვილი
 პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავას